

საბჭოთა სელოვნება



ISSN 0132-1307

საბჭოთა
სელოვნება

1979 8



8/1979

საქართველო ენციკლოპედია

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სოცველთაშვირი შურნალი

შინაარსი

მეგრე ბერძენოვებილი — 50	
თამაზ ჩხენკელი — ცნობიერიანი ოპეროს ზარი	3
გივი ბარამიძე — მედიკინულ სახეთა სამუხარო	7
მანანა ოდიშელი — „ბილივაც დანიტრდებინან...“	12
საშხარი თოქციონების თეატრის დრამატორგიაზე	16
მერაბ კოქრაშვილი — ქიმიები, პრობლემები, ამოცანები	24
ლიდების მონუმენტები	28
ალექსი ბალაბუვი — ვახტანგ ჯაფარიძის გამომხიანაზე	29
ლერი კენაძე — „ღათა თეთაშუბი“	33
ნიკოლოზ სოკოლოვი — იკოლიტომ-ივანოვი — ქართული მუსიკის პრობლემების- ტი	40
ალა იასტრეხოვიკია — XI-XIII საუკუნეების დანაკვეთი მხრობა	44
მირა ფიჩხაძე — ზომი რამ მიუჭიკლის წარსულიდან	59
ანელი ვოლკვაია — შუა საუკუნეების საქართველოს ფიჭვირული სოლოები	65
ბერტოლდ ბრეხტი — პატარა ორგანოში თეატრისათვის	72
საარტე რეხვიანოვი — ქართველი მხატვარი ივირეკოლბრითი	80
ჯაკე ვაიძე — მომგონებები ფიჭვიანი	82
ქონ პრისტლი — მისტიკ კატლისა და მისის მუნის სადნალური სიჭყარუ- ლის აბგავი (პიესა)	89
ძროშიკა	111

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
ქინო
არქიტექტურა
მორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი
თამაზ ბილაძე
სარედაქციო კოლეგია:
აბაგი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიკი,
ნოდარ გავრია,
ჯუმაბერ თითშირაი
(კასუხისმგებელი მდივანი),
ვანელ კიკნაძე,
ნოდარ მგალგალიშვილი,
ზურაბ ნიჭარაძე,
გივი ორგონიკიძე,
ნათელა ურუხაძე,
რევაზ ჩხვიპა,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ზამთარაძე,
ნოდარ ჯანაბრია.



შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში


წმის შემდგომ წლებში, საღამოობით — ვარდისუბნის ქუჩის კუთხეში — აფთიაქთან, ხშირად ნასხვდით ტოლამხანაგებში ჩამდგარ, აზიურებსა და შავ ლილიკლოთან ხალათში გამოწყობილ წულწვრილ ყმაწვილკაცს, რომლის „ქართული დგომა“ და ამაყი მიხრა-მოხრა პირველივე შეხედვით მიიპყრობდა თქვენს ყურადღებას. ეს ჭაბუკი მერაბ ბერძენიშვილი გახლდათ, აწ ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე, ვისაც ამასწინათ შეუსრულდა 50 წელი.

მე სწორედ ასეთი იერითა მყავს აღბეჭდილი მეხსიერებაში მერაბ ბერძენიშვილი არა მარტო იმიტომ, რომ გაცნობამდე უფრო ხშირად მინახავს იგი, ვიდრე გაცნობის შემდეგ, არამედ იმიტომაც, რომ მისი ასეთნაირი სახე უფრო ესადაგება ჩემს წარმოდგენაში იმას, რაც მას დაუცხრომელი ძალისხმევით შეუქმნია, ვითარცა მოქანდაკეს...

არაფერი შეიძლება იყოს ქმნილებაში ისეთი, რაც მისი შემოქმედის უღრმეს ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ

50

მერაბ ბერძენიშვილი



სსრკ ფუთიანი ოქროს ჯარი

თამაზ ჩხენკელი

შრეებში არ ბოგინება, რაც მისი სხეულის დინამიკურ სტრუქტურას არ შეესატყვისება. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებები მისივე დაუთრგუნველი ენერგიით არიან დამუხტულნი და მისივე სისხლით ფუთქავენ. ასე წარმოგვიდგება თვალწინ სასოწარკვეთილებამდე მისული და მაინც მშვიდი შურისგებით თავდაოკებული დედა („კიდევაც დაიზრდებიან“), შმაგი გახელებით ხმალამოწვართული მხედარი, რომლის მაგიური ფიგურა ჩემში ფარსმან ქველისა და წმინდა გიორგის მო-

გონებასაც აღძრავს, ტრაგიზმით გამსჭვალული „დავით გურამიშვილი“, ბობოქარი „მედეა“ და ჰარმონიული „მუზა“, ჩვენი სათაყვანებელი ზაქარია ფალიაშვილი...

ყოველი ხელოვნება ძალუმად ასახიერებს იმ ხალხის ესთეტიკურ იდეალებს, რომლის წიაღშიაც აღმოცენდება იგი. ქანდაკებასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ამ იდეალებს, გარკვეული აზრით, სხვა კომპონენტებთან ერთად, თავად ამ ხალხის ჯიში და გარეგნობაც განსაზღვრავს.



უადრესად საინტერესო ფაქტია ის, რომ უცხოელთა თვალში ქართველის ტიპი ძველ ბერძნულ ქანდაკებას უკავშირდება. ცნობილი მოგზაური გამბა შენინშვას: ქართველთა ხასისა და ანაბობის სიმეტრიულობის ნიშში ბერძნულმა ქანდაკებამ დავეტოვაო... მორის ვაგნერი წერს: ქართველებს ზედმიწევნით სწორი, კეთილმოხილული ნაკეთიბი აქვთ, რომლებიც თითქმის იმ ბერძენ ხელოვანს შეეგონათ, რომლებმაც ანტიონიუსი და აპოლონი გამაოქანდაკეს... იგივე ამბობს რ. ლიონარდი: ძველ ბერძნულ ქანდაკებათა ცნობილი პრიფილები მოიპოვებო მხოლოდ კავასის ერთ ნაწილში, ქუთაისსა და თბილისის შორის... ო. გ. ვეზუნდოვი, რომელიც სტურხად იყოს საქართველოში 1925 წელს, აღნიშნავს: კეხიანი ცხვირი ენერგიულ გამოხატულებებს ანიჭებს ქართველებს. მაგრამ ნამდვილი სასაწაული მათი წილი. მათსავე ტანადობას შეესაბამება ქართველთა დგომა, სიარული და მიხრა-მოხრა...

როგორ მოხდა, რომ ასეთი „ნატურის“ მქონე ერმა წარსულში ვერ შექმნა მრავალი ქანდაკება? (ამის თაობაზე მეტად ბერძენიშვილს თავისი აზრი აქვს). როგორ მოხდა, რომ ახლო ხანებამდე ასეთი „ნატურა“ არავითარ გავლენას არ ახდენდა ქანდაკებაზე?

მერაბ ბერძენიშვილმა გამოიკვლია ამ „ნატურის“ დაფარული რიგში და იგი თავისი ძალსატიკური აზროვნების იმპულსად აქცია. მისი ქანდაკებების ეროვნული „ხასიათი“ და „ფიზიკა“ თავად ხელოვანის შინაგან არსებაში ვიბრირებს და ამიტომ: „წვეთი სისხლი არ არის მათში არაქართული“...

„მე ქართულ ქანდაკებას ვეძიებ“, — წერს მერაბ ბერძენიშვილი თავის ახლადგამოცემულ წიგნში, რომელიც მშვენიერ მედლიონთან ერთად, 50 წლისთავთან დაკავშირებით სახელობისში მიწვეულ სტურების უსასოხვარა. მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროის ჩანაწერები, რომელთაგან ზოგი ექსიკტური ჟანრის მცირე ნოველებად იკითხება (რამდენიმე ასეთი ნოველა ამას წინათ დაისტამბა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“).

ამ წიგნში ხელოვანისა და პიროვნების შესაბამისობა ბუნდობლად პარამიოლოგობას აქვდა ანგენს (თუ დავინტერესდებით შემოქმედების აქტით, წერს ერთი ფილოსოფოსი, უნდა ვაღიაროთ, რომ მასში ხელოვანის პიროვნება მთლიანად არ იღებს მონაწილეობას. ხელოვანისა და პიროვნების ინდივიდუალობა ყოველთვის ვერ დამეხიზება ერთმანეთს). წიგნი ყოველგვარი შენიღებისა და წინასწარგანზრახული აქცენტირების გარეშე ამქდავენებს ავტორის მიდრეკილებებს, სწრაფვასა და გემოვნებას. იგი გულახდილი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამგვარი ხასიათის წიგნში. წრფელი ტონი და გულახდილობა ამ წიგნის უმთავრესი ღირსებაა. აქედანვე მომდინარეობს ავტორის ხალისიანი იუმორი. თითქმის ყველა ჩანაწერი ამ მშვენიერი იუმორით არის გამსჭვალული, რომელიც ხშირად გულან ხარხარს იწვევს, და ეს მისი ავტორის გულანისაზე მეტყველებს; აკი იუმორი იმთავითვე გულისხმობს არა მარტო პიროვნების თვითრწმენას და სიმტკიცეს, არამედ საკუთარი სისუსტის მიმართ უპირატესობის გძმობასაც. ამავე დროს, იგი კაცთა სივერაგის მიმართ თვითდადინების უმაღლესი ფორმაა. იუმორი საშუალებას აძლევს ადამიანს სწორად შეიმეცნოს საკუთარი თავი...

სტირქონებს შუა ზოგჯერ გაივლებს ამაყი ფრაზა: „მეტი რამ ეს სიამაყე გახდნილი მკაცრ მერაბ ბერძენიშვილს...“ გან იცის: თავადუღებელი შრომის, გულისგამაწვრთნებელ დაბრკოლებასა გადალახვის, შემოქმედებითი უწინგობისა და ტანჯვის ქვეყნულიდან არის ამომშენებელი იგი.

წიგნში გამხელები დეტალებიდან საინფორმაცია, თუ როგორ ხდება ზრეული ნაცნობებისათვის ოდესღაც „მხოლოდ“ ჯობინად და დარბინად ცნობილი ჭაბუკი ნამდვილი ხელოვანი. „ახალგაზრდა კომუნისტისთვის“ მიცემულ ინტერვიოში მერაბ ბერძენიშვილი ამაღლ გვარწმუნებს: სერიოზული ტრავმა რომ არა, შეიძლებოდა სხვა არჩევანი მომხდარიყო. ვერ დაუჯერებთ! ხელოვანის ემბრიონი ის შეიძლება არის დაკავშირებული პიროვნების არქაულ-პირველყოფილ ძალებთან, რომ იგი ალტერნატივას არ ექვემდებარება. პირიქით, იგი „ნათურა“ მისგან განსხვავებულ პიროვნებას და ეს ჩანს ამ წიგნში.

წიგნის ღირსებებზე ლაპარაკი შორს წავიყვანდა. ავტორმა ყველას თავისი ნიუსი: მასწავლებელს — ნიკოლოზ კანდელასი („ქანდაკების ნამდვილი თვისებები მან დაგვანახა“), მეგობრებსა და თანამდგომთ — პატრიისცემსა და სიყვარული; უნიჭობს, შურთანებს, ენატანებისა და გაბღენძილებს... არაფერია! — ისინი თავიანთ მარადიულ უზარატუბასა და არარაობაში ცოდილობენ, — ასე დავეცხება ავტორმა ეს, ყველა დროის, ფუყე და უდიდლამო არსებანი. განსაკუთრებული სივერულითა და მადლიერებით გავცნობს მერაბ ბერძენიშვილი უნრალთ ქართველ ადამიანებს, რომელთა ძარღვეში დღესაც „ძველი სისხლი ჰკიცვის...“ წიგნი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი ქანდაკებების „დადგმის“ ამბავიცაა მოთხრობილი, — საგანოდ დამაინტერესო ამბავი...

როგორც იქნა, დაიდგა „დავით გურამიშვილი“. მოქანდაკემ გაიმარჯვა. მაგრამ „კამათი და დავა ქანდაკების გარემოში არ დამცვლიდა“. მესამე და გათავიებული ლანდლა-გინება. მარაბ მანამდე, ძველზე მეუბნის დროს, ახალგაზრდა ხელოვანს ეწვია სიმონ ჩიქოვანი... „იგი სახელობისში შემოვიდა. ჩვენ ერთმანეთს მივესალმეთ, შემდეგ სირემ ჩამოვარდა... რას იტყვის იგი, ვინც საკუთარ თავზე მეტად შეიყვარა გურამიშვილის ბედი? მე ვღელავდი და ვფიქრობდი — ის იდგა მდუგმრად... დღემილი საუკუნედ მეჩვენება და უცებ ჩემს სახელობისში გაისმა დაბალი ხმა:

სანილოვიო ცად აწვდობი დავით, შენ გოღებდი ატრახანში დაბით...

უშომო სისარული დამეფულა, უშომოდ გავისარე. ამაზე მეტი აღიარება ჩემთვის აღარ არსებობდა... (ქვე უნდა დავძმობი: სწორედ იმ ხანებში სიმონ ჩიქოვანის აღტაცებული აზრი „დავითზე“ მე თვითონ მომისმენია „მნათობის“ რედაქციაში).

ჩვენ ყველას გვინდა გურამიშვილის უბრწყინვალესი ძეგლი იქ ვიხილოთ, სადაც თავდაპირველად იყო განზრახული მისი დღეგმა.

მერაბ ბერძენიშვილი იმ თაობას ეკუთვნის, ვინც შექმნა „თბილისელთა ახალი ტომი“ (არ ვგულისხმობ იმ კინტო-ყარაჩოღელთა თბილისს, რომლის გადჭარბებულმა იდეალიზაციამ თავი წასჭამა ყველას). მის წიგნში დედაქალაქის

ტრადიციებსა და ქართულ ლიტერატურაზე აღზრდილი კაცს ბუნებრივ ალღო და კვილიშობილება ცნაურდება. (აღსანიშნავია, რომ მისმა ავტორმა საკუთარი წიგნის გამოქვეყნებამდე „დალაშქრა“ ქართული ლიტერატურა: იგი ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი რიგისაა მოქმედი პირია... ეს წიგნი მე არ გამოცხებდა, რომ მის ზოგიერთ ნაწილში გამოვლენილი არ იყოს საკუთრივ პროზისათვის ნაშანდობლივი ტლანტი, რაც განსაკუთრებით პერსონაჟთა ცოცხალ მეტყველებასა და დიალოგებში იგრძნობა. (ჯუმბერ თათმიერამ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე სახვამასით აღნიშნა ეს მომენტი).

ეს მეტყველება მხატვრულ სისუბტეს — პიროვნებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ტონსა და ნიუანსს ამჟღავნებს.

მერაბ ბერძენიშვილი სადად და ძუნწად, მაგრამ ძლიერ ექსპრესიით გადმოგვცემს ყველაზე მძიმესა და ინტიმურს: „აღარ იყო ჩვენ შორის ამაყი ისიდორი“, — გარდაცვლილ მამაზე თქმულ ამ ფრაზას ჭავზე ამოკვეთილი ფორმულის ძალა აქვს. „ურჩხულავით პირდაღებული საფლავი ელოდა დღეაჩემს. ნიაგმა თეთრი თმები ოდნავ შეურხხია. ეს ბოლო მოძრაობა იყო მისი“... ლაკონიზმი აქ თავისთავად ამჟღავნებს განცდის სიღრმეს.

ეს წიგნი უთუოდ გაამხნევეს ჭაბუკებს და გულს დაუამებს ხანდაზნულთ, — ნივითებებულებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა!

ჩანაწერების ამ კრებულს „ზარი“ დაარქვა ავტორმა. თავის ემაწვილობაში სოფლის „მალაში“, საიდანაც ხელისგულისგან იხილავს „მეორეაზი თვლებივით მწვანეში ანთებული წითელკრამიტისანი ოდები“, მას უპოვებია სურათი გაქვართული პატარა ზარი, შინ მოუტანია და ზარის წკრიალით გაუყრუებია სოფელი. ზარი დამდამობითაც ურეკავს, ყვარება და მის სიჩუმეში დარჩეული ზარის ხმა. მერე უფროსი ძმის შეგონებით სკოლაში დაუკრია და ყოველდღე ტკბებოდა „საკუთარი ზარის“ წკრიალით. მაგრამ საკმარისი იყო გულმოსულ მასწავლებელს გაკვეთილიდან დაეთხოვა, რომ ზურგზე გადაკიდებული თავისი ზარიც თან წაეღო თავნება მოწაფეს. „მიაქვს, მიაქვს“, — ატყდებოდა ბავშვების ქრიალული. დირექტორი დაუყვავებდა ზარის მფლობელს და კვლავ მოაბრუნებდა სკოლაში.

ამ ყმაწვილს მოძიებული ჰქონდა ისეთი რამ, ურომლისოდაც ვერ ძლებდნენ „სხვები“. იგი ფლობდა „სხვებისათვის“ საჭიროსა და აუცილებელს...

ძველ ქართულ მითოსში მორიგე ღმერთის კარიდან კაცთა მოდემისათვის ქერის ოქროს მარცვლები, სახნისი და ცის განმასახიერებელი ოქროს ზარი მოქპონდათ ღვთისშვილებს. ეს ზარი, — ახლა უკვე ღვთისკარიდან მოტანილი უზარმაზარი ოქროს ზარი, — დღესაც ზურგზე აქვს მოკიდებული მერაბ ბერძენიშვილს. ვუსურვებ მას ხარის ქელსა და დევურ ძალას ამ ცხრაფუთიანი ზარის სატარებლად.



დავით ბერძენიშვილი



ეკონომულ სახეობა სამყარო

გივი ბარამიძე

ქართული მონუმენტური ქანდაკების მონაპოვრები დღეს საყოველთაოდაა აღიარებული, ხოლო საკრთლოს ოსტატთა სახელები — ფართოდ ცნობილი თვით საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. გარემოსთან ორგანულად შეზრდილი მათი ქმნილებები, რომლებმაც განსაკუთრებით იმრავლა 50-იანი წლების შემდგომ, თავისი მხატვრული შინაარსითა და პლასტიკური ბრწყინვალეობით ზემოქმედების უდიდეს ძალას შეიცავენ. დღეს ერთი წუთითაც კი ძველი წარმოსადგენია ესა თუ ის უბანი, არქიტექტურული კომპლექსი თუ ნაგებობა ამ დიდებული ნაწარმოებების — ქართული ეროვნული პლასტიკური აზროვნების ამ შესანიშნავი ნიმუშების გარეშე.

ასე შევისხლხორცა გარემოს და თავისი მძლავრი შინაგანი სიცოცხლით გასატლიერა ირგვლო ყოველივე მერამ ბერძენიშვილისე-

ულმა მონუმენტურმა ნაწარმოებებმა, ასე ახლოს რომ მივიდა ხალხის სულთან და მის უსაყვარლეს ქმნილებებად იქცა.

მერამ ბერძენიშვილის შემოქმედების ძირითადი წყარო და შთამავალბული მისი ხალხის, მისი სამშობლოს გმირული წარსული და თანამედროვეობაა. თავისი დროის მოთხოვნათა შესაბამისად იგი სილამაზის, სიკეთის, ჰუმანიზმისა და მაღალი ადამიანური ღირსებების მომღერალი შემოქმედია. როგორც პიროვნება, მერამ ბერძენიშვილი გამოირჩევა კეთილშობილებით, აღსაცნავად ადამიანიადში სიყვარულით და მისი ესთეტიკური მრწამსიც სწორედ ამ საუკეთესო თვისებებითაა განმტკიცებული.

მას შემდეგ, რაც 1955 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი (ნიკოლოზ კანდელაკის კლასი), შემოქმედებითი წარმატებაც მის განუყრელ თანამგზავრად იქცა. თანდათან, სულ უფრო მკაფიოდ ავლენს იგი მსოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხელწერას, მხატვრული აზროვნების თავისებურებას, იდეური შინაარსის პლასტიკური ერთი გადმოცემის უფართოეს შესაძლებლობებს, ფორამათა ექსპრესიას, ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების დიდ უნარს. ჯერ კიდევ მისმა საუკეთესო ნამუშევრებმა „მოკრივემ“ და თანაკურსელი მხატვრის ზურაბ ნიყარაძის პორტრეტმა მიიპყრეს პედაგოგების ყურადღება ესთეტიკური სრულყოფითა და პროფესიული ოსტატობით, ხოლო სადიპლომო ნამუშევარი — „შოთა რუსთაველი“ მნიშვნელოვან მოვლენად იქნა მიჩნეული.

აკადემიის დამთავრებისთანავე საპატიო დიპლომი დაიხმასხურა მისმა „ქართული ქალის“ პორტრეტმა, ჯერ რესპუბლიკურ და შემდეგ ახალგაზრდობის ვენის საერთაშორისო ფესტივალზე. ამავე პერიოდში ჯლოდით აღინიშნა საგზაფხულო და სამშომოდლო გამოფენებზე ექსპონირებული მისი გრაფიკული ნამუშევრები. ფართო აღიარება ჰპოვა 1958 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში მის მიერ შექმნილმა პლაკატების სერიაამ, რომლებიც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა.

„დავით გურამიშვილი“ (1959), „რუსთაველი“ (1966), „გიორგი საკაძე“ (1970), „მედიკა“ (1970), „მუზეუ“ (1972), „კიდევაც დაიზრდებიან“ (1975) და სხვ. სწორედ ის ქმნილებებია, რომლებიც ეროვნული კულტურის საგანძურს ამშვენებენ, ხოლო მათ

ავტორს ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი ოსტატის სახელს ანიჭებენ.

თითქმის შეუძლებელია მერაბ ბერძენიშვილის ქმნილებათა მხატვრული ძალის სიტყვებით გადმოცემა. ისინი საყუთარი თვალით უნდა იხილო, რამდენჯერმე უნდა ნახო, დაუკვირდე და ღრმად გაიაზრო, რათა სრულყოფილი ესთეტიკური სიაბოვნება მიიღო.

ბერძენის დიდბანს ძნელი გასაგები აღმოჩნდა დავით გურამიშვილის ძეგლის სრულიად ორიგინალური პლასტიკური ენა...

იცი, — მითხრა ამ ძეგლის მახლობლად მცხოვრებმა ერთმა მეგობარმა, — სულ ცოტა ხელი წელი მაინც დამჭირდა მეგრძნო თუ რაოდენ ღრმად ჩაწვდენია მოქანდაკე გურამიშვილის პოეტურ სულს. ყოველი ჩავლის

დროს მწყრალად შევხედავდი ხოლმე. შემდეგ თანდათან მივხვდი, რომ ის, რაც აღრე ერთგვარად დეფორმირებულად მეჩვენებოდა, შინაარსისა და ფორმის შესანიშნავი სრულყოფის მაგალითია. ახლა უკვე მის დანახვაზე სიხარული მიპყრობს, ფიგურაში გურამიშვილის პოეტურ სულს შევიგრძნობო.

მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნების მიხედვით სწორედ ისაა, რომ გაამხნეოს და სიხარული მიანიჭოს ადამიანს. ხანგრძლივი ძიების შედეგად მიკვლეული მისი ყოველი მხატვრული ფორმაც ხომ შინაარსის სიღრმითაა განპირობებული და მოაზროვნე მაყურებლის შემოქმედებით თანამონაწილეობასაც მოითხოვს. რაც უფრო ღრმად უკვირდება მაყურებელი მისეულ ქანდაკებას, მით უფრო



მეტ მხატვრულ „ადმოჩენას“ სწელება. ერთის შეხედვით თითქოს უბრალოდ და ძუნწად გამოიყურება მოქანდაკის სახვითი არსენალი, დაკვირვების შემდეგ კი გასაგები ხდება სათქმელის მოკლედ თქმის იშვიათი უნარი. „დავით გურამიშვილს“ აღვიქვამთ, როგორც პოეზიის, სილამაზის, სიკეთის, ამაღლებულის გამარჯვების განზოგადებულ გამოხატულებას.

მერაბ ბერძენიშვილი არ ეკუთვნის იმ მხატვართა რიცხვს, წლებით რომ ელოდებიან შთაგონებას. იგი მუდამ ეძიებს, ისწრაფვის გამოქმენის ჩვეულებრივში არაჩვეულებრივი, ზოგადად დამახასიათებელი და ამაში პოულობს შთაგონებასაც. ადამიანი და ადამიანობა ღერძია მისი შემოქმედებისა, ადა-

მიანურ სიცოცხლეზე უკეთესი და უმშვენიერესი არაფერი ეგულება სამხეობე. როგორც შემოქმედს, განწყობილების გარეშე არ შეუძლია მუშაობა, მაგრამ განწყობილებასაც თავად იქმნის ხოლმე მოჭარბებული ენერჯისა და შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით. ყოველდღიურობაში შემჩნეულ, თითქოს და უმნიშვნელო დეტალსაც შეუძლია მასში აღძრას დიადის გამოხატვის სურვილი.

ადამიანური სილიადის, მამულიშვილური თავდაღების, გმირული სულისკვეთების განსახიერებაა მისი რეაქტრნახევიანი ბრინჯაოს ქანდაკება „გიორგი სააკაძე“. საოცრად მრავალგვარ განწყობილებას აღძრავს იგი სხეულისხვა ამინდში, დღის სხვადასხვა დროს,



მედეა
მწეემის ბიჭი
ტორისი





შოთა რუსთაველი

ლალის მფთის ძეგლის ციხიზი



პირქუშ ავღარში, თუ აყვავებული გარემოს ფონზე, მზიან ამინდში.

მქონდა შემთხვევები სხვადასხვა დროს მენახა იგი და ასევე სრულიად განსხვავებული ემოციები აღძრა ჩემში ამ დიდებულმა ქმნილებამ. ელვით განათებულ ვეებერთელა მთების ფონზე გიორგი სააკაძის ქანდაკება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქმის დიდი მოუზრავი მართლა გამძვინვარებული მოუძღვის მთებიდან გადმოსულ ქართველთა ლაშქარს.

სულ სხვანაირად გამოიყურებოდა იგი 9 მაისს, გამარჯვების სახეიშო დღეს. მზიანი ამინდი იდგა. გიორგი სააკაძე უცვლელად აღსდგა, გამარჯვებული დევგმირის სახით წარმომიდგა მოედანზე საზოგადოებრივ თამაშობრივ ხალხის წინაშე. მომეჩვენა, რომ იგი მახვილს კი არ იღებდა ქარქაშიდან, არამედ უკან აგებდა, ვალმოხდილი. მისი არწივისებური გამოხედვა კი გვარწმუნებდა, რომ ვინც კვლავ გაბედავს შემოესიოს ჩვენს სამშობლოს, იგი ისევე იქნება გაცამტვერებული, როგორც ესენია ალბრულაო. თითქმის ჰიპერბოლურ ვეებერთელა მახვილს, სიმბოლურად, ქართველი ხალხისათვის ლეგენდარული კახაბერის ნმალივით ესტაფეტად გადასცემდა გიორგი მომავალ თაობებს მშვიდობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად.

თითქმის იმავე პერიოდში შექმნა მოქანდაკემ ბრინჯაოს სამფიგურაო კომპოზიცია „მედეა“, რომელიც ბიჭვინთის მშენებდალა ქცეული. ბერძენიშვილის მედეა წარმოგვიდგება იმ მომენტში, როცა იგი საშინელი განზარაბვის აღსრულებას კი არა, არამედ მისგან თავის დაღწევას ცდილობს. მედეას შურისძიების ფორმა აქ უფრო ადამიანური და ძლიერია. ეს არის სასტიკი სიძულვილი, მორალურად გამანადგურებელი სიძულვილი მისდამი, ვინც შეურაცხყო წმინდა და უღალატო სიყვარული. იმდენად გადამდებია მისი განცდის შინაგანი ექსპრესია, რომ ერთი შეხედვითვე ვკითხულობთ ქანდაკების დედაზრს.

„მედეას“ სულ მალე მოჰყვა რეამეტრანხევრია ბრინჯაოს ქანდაკება „მუზა“, ფილარმონის საკონცერტო დარბაზის წინ რომ არის აღმართული. სტუმართმოყვარე ღიმილით, ფართოდ გაშლილი მკლავებით გვეპატივება მშვენიერი ქალი ხელოვნების სამყაროსკენ და, რაც მთავარია, ბერძენიშვილისეული მგზნებარებით აღამიანური სიყვარულის, სიხარულისა და ბედნიერებისაკენ მოგვიწოდებს.

გამომხვევები, იმედიანი ძალითაა სავსე მრავალჭირნახელ მარნეულს მიწაზე დაღმული ქანდაკება „კიდევაც დაიზრდებიან...“ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლის-თავისადმი მიძღვნილი ამ ქმნილების დედა-ზხრი ვასცდა ამ თარღისათვის გამომხვევებს. იგი ქართული ხალხის გმირული ისტორიის ალეგორიულ გამოხატულებად იქცა და



სულხან-საბა ორბელიანის ძეგლის ესკიზი

ჩვენი ხვალისდელი დღის საიმედო საწინდრადაც. ქართველი დედა მუდამ ზრდიდა და გაზრდას კიდევც სამშობლოს ერთგულ შეი-ლებს.

ასეა მერაბ ბერძენიშვილის ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, სკულპტურული ნამუშევარი იქნება იგი, გრაფიკული თუ ფერწერული. ასე იქნება ყოველივეს, ვიდრე მას მიაჩნა, რომ: „ადამიანი ბუნების შედევრია, მისი სხეული სამყაროს საიდუმლოებაა... ვიდრე

არსებობს ჩემს ირვლეო მუქლურჯი ზეცა, მზით გაბრწყინებული ქვეყანა, მტევენებით დახუნძლული ვაზი, ჭაბჭუთა და ქალწულთა მშვენიერი სხეულები, ხოლო ჩვენნი კი ვნება და სისხლი, იმ ინერტულ მასალას, რომელსაც შეგებმა მოქანდაკის ხელი, ყოველთვის მიენიჭება სიცოცხლე, თუკი საკუთარი სისხლით ქმნის და არა წითელი მელნით.“

სამშობლოს თავისუფლებასათვის მებრძოლი ჯარისკაცის ხსოვნას უძღვნა მოქანდაკემ ბოლოდროინდელი მონუმენტი-მემორიალიც „ჯარისკაცის მამა“, აღაზნის ველის შემოღლებულ ფერდობზე, გურჯაანში რომ არის აღმართული (1978).

მოქანდაკის თქმით, სერგო ზაქარაიძის აღიარებულმა გმირმა ბევრად განაპირობა, რომ მისი სკულპტურული სამე შეექმნა: რაღაცით იგი კონკრეტულიც და ყველასათვის საცნაურიც უნდა ყოფილიყო, მაყურებელში უნდა აღეძრა პირადი მოგონებებიც და ამითვე გამოვლენილიყო ზოგადიც. აი, სწორედ აქ შემეშველა სერგო ზაქარაიძის გმირიც...

მერაბ ბერძენიშვილის სეგრა, რომ ჭეშმარიტი მაყურებელი ყოველთვის გულთან მიიტანს მხატვრულ ნაწარმოებს, თუ იგი საშუალებას მისცემს მას დაფიქრებისა და საკუთარი დასკვნების გამოტანისათვის. ყალბი და დაკნინებულია ის ნაწარმოები, რომელშიც მყვარალა დეკლამაციური ხერხებითაა წარმონეწილი იღევა. მხატვრული ნაწარმოები, — ამბობს მერაბი, — შემოქმედისაგან ძალდატანებლად, თავისი ღრმა ემოციური-ინტექტუალური ზომიერებით უნდა იპყრობდეს მაყურებელს. ამ პრინციპს მტკიცედ ითვის იგი ყოველ ქანდაკებაში — სკულპტურული იქნება იგი, ფერწერული თუ გრაფიკული.

მისი არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ არის შექმნილი ზოგჯერ დაკვეთისათვის და მასშაბითებული შაბლონის წესით. თითოეულ მათგანში მხატვრის სულის ნაწილია ჩატანებული. აი თუნდაც, რამ გამოიწვია მისი დაინტერესება ლაოსის მეფით, როცა ლაოსელ ხელისუფალთა დაკვეთით მის ქანდაკებას ქნინდა? მისდამი მხატვრის დიდმა სიმაბითამ, რაღვან სწორედ მას — მეფე სიავენგ ვონგს უბნაია ლაოსელი ხალხი უცხოელ დამპყრობთა კოლონიალური რეჟიმისაგან. ამიტომაც მადლიერების გამოხატველი წერილები მოსდის მერაბს ლაოსის დედაქალაქ ვენტიანიდან, სადაც მან სიავენგ ვონგის ექვსმეტრიანი ბრინჯაოს მონუმენტური ქანდაკება აღმართა. ლაოსელთა მოთხოვნით, იმავე ქანდაკების

პირი მეფის მშობლიურ ქალაქ ლუანგ-პრაბანგაში დაიბადა. მერაბისათვის ერთნაირად ძვირფასი აღმოჩნდა თავისუფლებისათვის გამბრუნად მებრძოლი ხალხიც და მისი წინამძღოლიც. ამას მოწმობს ლაოსის გრაფიკული ჩანახატებიც, სადაც იგი უბრალო ხალხისადმი („ბუღების გამყიდველი“, „ფეხმორთხმული ქალი“, „შეხვედრა“, „მამაკაცის პორტრეტი“...) დიდ ინტერესს ავლენს.

ბევრისმთქმელი ლაკონიურობით, ჩანაფიქრის სიღრმითა და სახოვანებით იცვრობს ყურადღებას მისი ახალი ესკიზები: გრიბოდროვის სახელობის თეატრისათვის გათვალისწინ-

ლობის პროცესშია, ზოგი კი სწორედ თავისი დაუსრულებლობით თანაშემოქმედებითი მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა და მასთან მომავალი შეხვედრებისათვის გვამზადებს...

ბევრი ითქვა და დაიწერა მერაბ ბერძენი-შვილის საინტერესო გრაფიკულ შემოქმედებაზეც. არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი, მხატვრის ხელწერის თავისებურების მიმანიშნებელი, ერთიანი სტილითაა აღბეჭდილი მისი ახალი დახვეუნი ფურცლებიც, რომლებიც ღრმა მხატვრულასახეობრივი სიძლიერით გამოირჩევიან. კვლავ თავისებური



თოჩინების თეატრის სპექტაკლის „კომბლეს“ პერსონაჟები

ნებული სიმბოლური გამოსახულება: „ბოროტსა სძლია კეთილმა“, რომელშიც შეთანინშნავადაა გააზრებული ხელოვნების მშვენიერების ძლევამოსილება ყოველგვარ სიმახინჯეზე: ნიღაბსადილი საშინელი ურჩხული განუგმირავს ჭაბუკს და ქართული საკრავით ქვეყანას ამცნობს სახეიშო განწყობილებას.

სულანასამა ორბელიანის ძეგლის ესკიზში კი (ვათვალისწინებულთა თბილისში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან დასადგმელად) შთაბეჭდავადაა მოცემული ერის კაცე, ერის მოძღვრის კეთილმოქმედი ძალა.

მერაბის სახელოსნოში ბევრი სკულპტურული სიახლეა, ზოგი მათგანი ჯერ კიდევ მოქანდაკის განუწყვეტელი ძიებისა და ჩამოყა-

თვალთახედვით წყვეტს მხატვარი სამყაროსათვის უკვდავი გაზაფხულის, სიყვარულის, მშვიდობის, შრომის, მეგობრობის მარადიულ თემებს. იგი გრაფიკული გამოსახულებისათვის დამახასიათებელ ფერწერულ პირობითობას მიმართავს ზეთის საღებავებით შესრულებულ სურათშიც კი („მეუღლის პორტრეტი“, 1978), რომელშიც არ ისწრაფვის გადმოსცეს გარეგნული სამყაროს მთელი მდიდარი ფერადოვნება და სირობე. ხაზების, ლაქებისა და შტრიხების ენით, ძირითადად კი შავისა და თეთრის, ჩრდილისა და სინათლის დაპირისპირებით აღწევს შინაგანი ბუნების გამოხატვას. იგი, როგორც მოქანდაკე, ფერთან შედარებით, მაინც შინაარსის

შესატყვის თავისებურ პლასტიკურ ფორმას ანიჭებს უპირატესობას.

მაგრამ როცა გამოსახელება მოითხოვს, ფერწერულობაც თავისთავად ვლინდება ხოლმე მის პლასტიკაში და გრავიჟამიც, თავისებური ფერწერულ-კოლორისტული გადაწყვეტით იპყრობს ყურადღებას, მაგალითად, გუაშით შესრულებული „ქალაქი ბერგენი“. ფერი აქ გამოყენებულია მხატვრული სახის ემოციური მხარის გამოსახატავად. ზღვისა და ცის სილუეტებში ჩაძირული პატარ-პატარა კუნძულოვანი მთები, მათზე მოფენილი წითელსაბურავიანი თეთრი სასლებით, სივრცეში მონაკრძე უფვალავი თოლია, სინათლის, პაერისა და პერსპექტივის იმპრესიონისტული ხედვით გვაგრძნობინებს მოძრაობისა და სიოცხლის ემოციურ დინამიკურობას, და ეს მიღწეულია ერთი ძირითადი ცისფერი ტონის სხვადასხვა ფერწერული ნიუანსებისა და გრადაციების საშუალებით.

ყურადღებას იპყრობს მერაბ ბერძენიშვილის თბილი იუმორი, მისი შემოქმედების ყოველ სახეობაში და განსაკუთრებით კი გრაფიკულ ნამუშევრებში. იგი ხშირად, თითქმის ჩვეულებრივ ხუმრობს, სატირულ სიმწვევებში არ გადადის, მაგრამ ღრმად დაფიქრების შემდეგ ხედვები თუ რამდენად მახვილ-გონივრულია და, ამასთანავე, რა დიდი ზემოქმედებითი ძალისაა მისი ყოველი ხუმრობა. ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალეგორია — ყველა ეს საშუალება ემსახურება მოვლენის უფრო ღრმა და ობიექტურ ასსნას. მერაბ ბერძენიშვილი თავისი იუმორისტული ჰიპერბოლიზაციით, რომელიც ნაყოფია ღრმა ცხოვრებისეული დაკვირვებისა, მოვლენის არსის კვინტესენციის იძლევა („პარტოსული“, „სამძი-ბარხე“, „მკედარი საათი“, „ვაპ, დრონი, დრონი“, „ბოჭია, ბოჭი“, ტრაყები საექტაკლ „კომბლანათვის...“).

მოხუცი თერძი თავის საკვრავ მანქანასთან უსაქმურად მიმჭდარა („ვაპ, დრონი, დრონი“ გუაში) და წუხს, რომ აღარავის სჭირდება მისი შეკერილი ჩოხა-ახალუხები. დაკვირვების შემდეგ ხედვები, რომ მოხუცის წუხილი საფუძვლიანია. კედელზე დაკიდული, ჰიპერბოლურად დიდი ჩოხები როდი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მხატვარი დასცინოვებს ტრადიციებს. ჩოხა-ახალუხი მისთვის მშრალი ეგზო-

ტიკა როდია. იგი შექსენება ქართული რინდული სულის გამოხატულებას. მანიერება არა ამ ტრადიციის არსშია, არამედ მის არასწორ გავებასა და ათვისებაში...

მხატვარი ყოველთვის პოეტური გახატებით, კეთილმსურველი ღმილით გვთავაზობს იუმორს და ამითვე ახდენს იგი დიდ ზემოქმედებას მაყურებელზე.

თავისებურად ვლინდება ბერძენიშვილის ხელოვნების სოციალური ძალაც. ბედნიერებასა და პარმონიულობაზე უტოპიურად რომელი ოცნებობს. თავის საზღვარგარეთულ ჩანახატებში კაპიტალისტური სამყაროს სოციალური უკუღმართობის უზარალო კონსტატაციას კი არ ახდენს, არამედ მისი საზოგადოებრივი საფუძვლის შერყევის დამადასტურებელ ფაქტებს გვისურათობატებს. აგერ, ერთ კლოუნს თავის ჩხუბრში საყუთარ ბედზე დაფიქრების შესაძლებლობა მისცემია („კლოუნია“) და ტრაგიკულ სასოწარკვეთილებამდეც მისულა იმის გამო, რომ მხიარულებას და სახეიბო განწყობილებას მხოლოდ მისი ნიღაბი გამოხატავს, თავად მას კი ადამიანური ბედნიერების აღარავითარი იმედი არ დარჩენია. მისი კომიკურობის ტრაგიკული არსიც იმაშია, რომ იგი სწორედ იმ საზოგადოების გამართობ მასხარად ქცეულა, რომლის უკუღმართობა სოციალურმა საფუძველმაც დაღუპა მთელი მისი აწმყო და მომავალი...

ქეშმარიტი ხელოვანისათვის არ არსებობს უფრო დიდი ჯილდო, ვიდრე სახალხო აღიარებაა. საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა, რუსთაველსა და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, მრავალჯობის გამარჯვებულ ქმნილებათა ავტორმა მერაბ ბერძენიშვილმა ღირსეულად დაიმსახურა ეს პატივი. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი ისიც ვახლდათ, რომ ხალხმა იგი ახლახან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

ბედნიერია ხელოვანი, რომელსაც შესწევს უნარი ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის აღმოჩენისა, ამ ბედნიერ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის მერაბ ბერძენიშვილიც, რომელსაც შესწევს უნარი დაინახოს და მაღალი იდეალის ხარისხში განაზოგადოს ის არსებითი სახატებები, რომლებიც ნაკარნახევია თვით მისი დროის, მისი ხალხისა და ეპოქის უფრ-

„კიდევაც



მარნაველში მჭობილი „კიდევაც დაიზღვე-
 მან“... სამშობლოსადმი ხალხის მარადილი სიყ-
 ვარულისა და მისთვის თავდაწირვის იდეა ნა-
 ქაივლია. დედის იდეურ შინაარსად მერაბ
 ბერძენიშვილმა ჩაწერა ხელზე გამოიყენა ხალ-
 ხური ლექსი „კიდევაც დაიზღვებინ ატყვის
 ლეკები მელიანი“. სამი ფიგურა კლასიკურ
 სანქციონდშია მოქცეული. ბავშვების ხეხუამუ-
 ლე განივად გადაწეული ფეხები დონორიდაა
 დახურული დედასწრე, რაც მკარ სფეროვალს
 ექნის ამ ნაწარმიტას. დედის ფიგურა კი ამა-
 ყვე დგას მათ უკან. მახულის მკერდი პირიორი-
 ტალი სიმტკიცეს მატებს კომპოზიციას. პარამი-
 დისებური აგების გამო სკულპტურული კავთო
 ფილის უფრო განმდიობული წარმოადგება.

დედის მონუმენტურობა კომპოზიციური ხერ-
 ხებით არის მიღწეული. წინამორბედ ნამუშევრე-
 ბმა — „შუხანა“ და „ქედამი“ მონუმენტური
 შთაბეჭდილების შექმნისათვის მივანდაყეს სხვა
 მხატვრული ხერხები აქვს გამოყენებული: ტრეყეს
 დიდი მივლეობები, ფართო, ზოგადი მასებით
 და შესაქმნეად ზრდის უშუალოდ ფიგურათა
 ზომებს, მათ მასშტებს. მარნაველის სკულპტუ-
 რულ კავთვში კი მონუმენტურ სახეს ქმნის არა
 ზომები, არამედ შეტრული კომპოზიცია.

„ქედამი“ ქანდაკების განმდიობული მასშ-
 ტები, შერწყმული მასურ ექსპრესიასთან, მკერუ-
 ხელს მივლი სიბღღრით შეტყანობინებს დედის
 ხულის მშვიოფარებას. მონუმენტში „კიდევაც და-
 იზღვებინ“ იდეური შინაარსის შესაბამისად,

დაიზრდებიან...“

მანანა ოლიშვილი

შემოქმედი ქმნის ამაღლებულ განწყობილებას,
 კლასიკურად გაწონისწორებული ეს კომპოზიციას
 თავისი სიდიდითი მკურებელზე ღრმა შთაბე-
 ძდილებს ახდენს. ისევე, როგორ ბერძენიშვილის
 სხვა ნაწარმიტებში, აქაც გამომსახელობის და-
 დედ განაპირობებს კარგად შერწყმული კავთა —
 ირცე ამაღლებული ბირცე, რომლის ირცელებ
 კერხევი სრულად მიმომივლებულია. ცის ფონზე
 სკულპტურული კავთის შეტრული სილუეტი მკა-
 ყვიოდ იყვითებს და მთლიან კავთის დომინანტს
 წარმოადგენს.

დედამდე ბორცვის სამ ტერხანად მიუყვება კო-
 ხები, რაც ვიზუალურად ზრდის ქანდაკების
 მასშტებს, აწმადებს მკურებულს ძველის მიღე-
 ანი აღქმისათვის, თანდითან ახლერეყეს მასში
 ამაღლებულის, დიდებულის ხულით მიღებულ
 შთაბეჭდილებას.

მეორიალში განაზრებულია ყოველი დებელი
 ძველი დგის პირიორიტიტურად წყარებლებულ
 მაროლებზეზე, რომლებზეც კეთილბუნა დასილი
 მივლეობები აქვს მდგობლი, რაც სკულპტურე-
 ლი კავთის ორნამენტურობაში პარამიდის პარამი-
 ნიულ გავრტებებს წარმოადგენს. გზხე მდგობლი
 მკურებელი ვარცხლელკის მივლი ნაწილს სე-
 დეს, ხოლო რიცე იგი საფეხებზებინ ტერხანას
 შეუყვება, თანდითან წმდებს ვარცხლელკის და-
 მტებითი მივლეობები. ამის გამო ქანდაკებს
 თითქმის თვალწინ ახრდებს და სკულ უფრო გან-
 დიობულ შთაბეჭდილებას ახდენს.



საუბარი თოჯინების თეატრის ღრამატურბიანზე

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გამართა საუბარი თოჯინების თეატრის ღრამატურბიანის საკითხებზე. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ქართული და რუსული თოჯინების თეატრების რეჟისორებმა, მსახიობებმა, მხატვრებმა, ღრამატურბიანმა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებმა. საუბარი წარმოართა ქართული თოჯინების თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგემ, მწერალმა **ჯემალ მარჩბაძემ**.

ჯემალ მარჩბაძე — (ქართული თოჯინების თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე) ხელოვნების არცერთი დარგი არ მოითხოვს იმდენ პირობითობას, რამდენსაც თოჯინების თეატრი და ჩვენმა ღრამატურბიანმა, უპირველეს ყოვლისა, თოჯინების თეატრის ამ მნიშვნელოვან სპეციფიკას უნდა გაუწიონ ანგარიში. თოჯინების თეატრი თავიდან პატარებისათვის კი არ იყო შექმნილი, არამედ მოზრდილთათვის, მაგრამ დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა, თოჯინების თეატრი ბავშვების თეატრად გადაიქცა, ღრამატურბიანმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის დღევანდელი სულიერი მოთხოვნილებანი. ნურავის ეგონება ბავშვი მოზრდილზე ნაკლებად მომთხოვნი: ყველაზე მწარად ჩვენ სწორედ მაშინ ვცდებით, როცა ბავშვს ენას ვუჩლქთ და ვედიტივებთ. ამიტომ, ჩვენი ღრამატურბიანი ისევე სერიოზულად უნდა წერდნენ პიესებს თოჯინების თეატრისათვის, როგორც მოზრდილთა თეატრისათვის. სანამ არ მოვევებით ზერელე დამოკიდებულებას თოჯინების თეატრისადმი, სანამ არ ჩავთვლით თოჯინების თეატრს ხელოვნების ერთ-ერთ სრულფასოვან დარგად, მანამდე არც შესაბამისი სრულფასოვანი ღრამატურბიანი წარმოიშობება გვექნება. ამ მხრივ კი ჩვენი მდგომარეობა საკვალაა. თოჯინების თეატრისთვის არა გვაქვს ხეირიანი ქართული პიესები, ვერ ვაქნაყოფილებთ ბავშვის მოთხოვნილებებს.

არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, თითქოს თვით თეატრს ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია. ჩვენი ინიციატივი გამართა ასეთივე საუბარი მრავალ მაგიდასთან მწერალთა კავშირში, ჩვენი თხოვნით კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი თოჯინების თეატრის პიესებზე, ჩვენ თვითონ დავამართეთ კონკრეტული შეჯიჯვრებული პიესის დწერა ისეთ ღრამატურბიანს, ვინც, ჩვენი აზრით, უკეთ გააჩვენებდა თავს ამ რთულ საქმეს. მაგრამ სასურველი შედეგი არც ამ დონისძიებებმა გამოიღო. ჩვენ მანც ძალზე ცო-

ტა გვაქვს ოსტატურად დაწერილი, ცოცხალი, სხარტი, მეტაფორებით მდიდარი და თემატურად აქტიური პიესები. ცხოვრება წინ მიდის, ვითარდება, რთულდება, მოაქვს ახალი პრობლემები, ახალი ცნებები, ახალი ურთიერთდამოკიდებულებანი, ჩვენ კი დღემდე ელემენტარული მორალური სენტენციების ილუსტრირებას ვერ გავცდით. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მასალას ჩვენი ღრამატურბიანი ძირითადად ქართული ზღაპრებიდან, ქართული ხალხის ზეპირსიტყვიერებიდან სესხულობენ და იმის ნაცვალად, რომ ხალხური ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი შინაარსი კიდევ უფრო გააღრმავონ და განაზოგადონ, იქცევიან პირიქით, ამარტივებენ და აიკონკრეტებენ მას. ამიტომაც არ მოგვცა სასურველი შედეგი იმ სექტაკლებმა, რომლებიც ჩვენ ბავშვებისთვის კი არ გვქონდა გამოზრული, არამედ მოზრდილთათვის. დღეს კი უამრავი სექტაკული იდეგმა მოზრდილთათვის მსოფლიოს უამრავ თოჯინების თეატრში.

მინდა შეგერადე კიდევ ერთ საკითხზე. ეს გასლავი ნდობის საკითხი. ჩვენ უნდა ვეწლით ბავშვებს, უნდა გვევროდეს, რომ ისინი გონებასსინდონი არიან და შესანიშნავად გაიგებენ იმას, რის შიწოდებასაც მათი სინორის გამო ჩვენ დღეს ვერიდებით. ბავშვს საოცარი ალღო აქვს და სიკეთესა და პირობებში, გულწრფელობასა და სიუფლებში, სიღამაზესა და სიმისინეში, ერთი სიტყვით, ყველა იმ ალტერნატივაში, რაც არა მარტო ბავშვების, არამედ მოელო კაცობრიობის საერთო ტვირთია, მშენივნობად ერკვევა. როგორც კი ბავშვს ნდობას გამოვუცხადებთ, როგორც კი ანგარიშგასაწუნე პიროვნებად ჩავთვლით, იგი მალევე მალღიერების გრძობით იგსება და მოელი გღლისწყურით გისცნობ.

როცა ჩვენ ჩვენი რეპერტუარის სიღარიბეზე ვლაპარაკობთ, ეს სრულადაა არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ გავაჩნია პიესები. არა, პიესები გვაქვს. თხოუმეტი წლის მანძილზე ოცი ქარ-




თოჩინების ქართული თეატრის დასი

ოული პიესა დაედგით, მაგრამ ის, რაც გვაქვს, ცოტაა, ძალზე ცოტაა და არ გვამლევს იმის საშუალებას, რომ რეპერტუარი დროზე გადავახალისოთ, ბავშვებს ახალი, სტილისტურად და თემატურად სხვადასხვაგვარი სექტაკლები ვაჩვენოთ. ვარდა ამისა, რომ იც პიესის შორის, რომლებიც თხოუმტები წლის მანძილზე დადგა, ბევრი იყო სუსტი, გაუმართავი და ჩვენ კომპრომისზე წახდებოდა, რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ ჩვენში მყარი საფუძველი ჩაეყაროს თოჩინების თეატრის დრამატურგებს, კომპრომისზე წახდებოდა დიდი ტრაგედია არ არის და ჩვენ კვლავაც დავთმობთ ზოგ რამეს, ოღონდ გვკონდეს იმის იმედო, რომ ბევრ პიესას მივიღებთ და არჩევს შესაძლებლობა მოგვეცემა.

გივი სბრჩიშიძე — (ქართული თოჩინების თეატრის მთავარი რეჟისორი) არ მინდა გავიმეორო ის, რასაც ბევრჯერ გვახსობია და რამაც თითქმის არავითარი შედეგი არ გამოიღო. უჩნობისა უკრადდება გავამახვილო ირ-სამ მტკივნეულ პრობლემაზე, რომელთა გადაჭრა აუცილებელია და დაოცნებას არ ითმუნს. პირველი — თოჩინების თეატრისათვის პიესები იწერება მსა, დიდი წნის წინათ შემუშავებული და აღიარებული სექციების მიხედვით. ძირითადად ეს ვასლავი ფოლკლორთან ნახსენებში ზღაპარი-პიესა, სადაც ერთი ნოქიელი პირი ბორიკია, მეორე კეთილი, მათ შორის იმართება ბრძოლა და ბოლოს კეთილი იმარტყვება. ეს სქემა იმდენად ვაცდებ, რომ მატარა ბავშვებსაც ე მოსწონდათ. ჩვენი აზრით კი, დროა ბავშვებს მივავლოთ უფრო ართული მასალა, სადაც სინამდვილე უტრეყმული იქნება ფანტაზიასთან და, ამავდროს, გათვალისწინებული იქნება ბავშვის შინაგანი სამყაროს თავისებურება. თოჩინის სხვაგვარი ტექტი, სხვაგვარი მოქმედება, სხვაგვარი ხასიათი სჭირდება და ეს არ უნდა დაივიწყოს დრამატურგმა. მე ხშირად წამოიჭობს პიესა, სადაც ისეთი რეპარკებია მოცემული, რაც სრულიად არ შეესაბამება თო-

ჩინის მოქმედებას. მაგალითად, ერთი დრამატურგი წერს, თოჩინამ კაზბაზე ცხვირსაოცო ამოიღო და ცხვირი მოიწმინდაო. ამგვარი პიესის ავტორს, რა თქმა უნდა, წარმოდგენა არა აქვს თოჩინების თეატრზე და ის სექციუტაჟზე, წმინდა ყოფითი დეტალები პოეტურობასა და გროტესკულობაზე უყარავს თოჩინების თეატრის სექტაკლს. ხშირია უზინთხვევები, როცა მოქმედი პირი კიეულია ხანგნად, რეკვიზიტად, რაც იწვევს ემოციური ზემოქმედების შესუსტებას, პირობითობის უფულებელობას. პირობითობა კი თოჩინების თეატრის აუცილებელი პრობლემაა და მერწმუნებ, რა განზოგადებული, რა პირობითიც არ უნდა იყოს თოჩინების თეატრის სექტაკლი, ბავშვი მას გაიგებს, გაერკვევა მოუღწეაო ურთიერთ-კავშირში, ბავშვებს ცოცხალი, პოეზიითა და ფანტაზიით გამსჭვალული პიესები უნდა მივავლოთ, პოეზიითა და ფანტაზიით დაფარული ნაწარმოებები. ამავდროს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თოჩინებს ისეთი რამის გაქვთება უშეძლიათ სცენაზე, რის გაქვთებასაც ვერაფრით ვერ შეძლებს ცოცხალი მსახიობი. შედეგად-მსაში მაქვს აკრობატული ნომრები და თოჩინების თეატრის ტექნიკური შესაძლებლობანი. ჩემის აზრით, დღეს უკვე აღარ შეძლება ბავშვებთან ის საუბარი, როგორც კამედე ვესაუბრებოდა. დღევანდელი ბავშვი გაიცლებით აღერწოდება, ვიდრე ეს ზღბდებოდა თუნდაც ამ აშილად წლის წინათ. ბავშვებთან სერიოზული საუბრის გზას ავებს ამეამად ყველა თოჩინების თეატრი და ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ მათ.

დღეს ისეთად დიდი ცვლილებები ზღბა თოჩინების თეატრის ცოცხლობაში, როგორც სტალინების ყველა დარგში და ყველა სხვა ენარისა თუ დანიშნულების თეატრების ცხოვრებაში. კარგი ხანია დანიყო თოჩინების თეატრის სცენის რეფორმირება და რეკონსტრუქცია, მისი გაფართოება, დეკორაციუბითა და თეატრალური ხელოვნების სხვა საშუალებებით გამდიდრება. დღეს ცოცხალი მსა-



„აქადონსერი მოსასხამი“



„აქადონსერი მოსასხამი“



„აერკლის სამშედლო“

ბიზის თოქინების თეატრის სცენაზე გამოჩენა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც მომღერლის ესტრადაზე გამოცემა. თოქინებისა და ცოცხალ მსახიობის ერთ სექტაკლიში მონაწილეობა მტკიცედ მოიკლდა ფეხი ჩვენს თეატრებში. თოქინების თეატრში მორავდუნენ ზონების მომღერლები, ავტორის ტექსტის წაშლით-ველები, სექტაკლის წამყვანები. დღეს თოქინების თეატრში იდგა მება ისეთი პიესები, რომელთა დადგმა ამ ათიოდ წლის წინათ ფიქრადც კი არავის მოუვიდოდა. ამ ორი თუ სამი წლის წინათ თოქინების თეატრების მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე შეეცოის ნაციონალურმა თოქინების თეატრმა მაუერებელს უჩვენა ბრეტის „სამპრობიანი ოპერა“ და „სტრუენელი კეთილი კაცი“. ეგზონუერის „პატარა უფლისწული“ და ფრესკები დანტეს „ღვთაებრივი კომედიანტი“. ახალ ფორმებს, ახალ გამოხატვულ საშუალებებს ეძებს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა თეატრი, პიესები რთულდება, რეჟისორები იყენებენ ნილებებს, ცოცხალ მსახიობს თოქინის პარტნიორად ხდნან ან თვით მსახიობს გადააქცევენ ხოლმე თოქინად. მაგალითისათვის შემოიღო დაგასახლო მოსკოვის, ლენინგრადის, ტაშინის, უფის და სხვა ქალაქების თოქინების თეატრები. ისინი ცდილობენ სექტაკლებში მრავალკომპონენტური, მრავალფეროვანი გახადონ, არ ერიდებიან არც შინაარსისა და არც ფორმის გათრეულებს და ხშირად სასურველ შედეგსაც აღწევენ. ერთი სიტუატი, დღეს ტრადიციულ ისეთ სექტაკლებსაც ვხვდებით, სადაც თოქინა თოქინად ჩრება, მსახიობი კი მსახიობად და ისეთსაც, როცა მსახიობი ამა თუ იმ მოქმედი პირის როლს თამაშობს და იმავე სივრცეში მოქმედებს, რომელშიც თოქინები მოქმედებენ.

ამის თქმა მე იმიტომ დამჭირდა, რომ დღევანდელმა დრამატურგმა უნდა იცოდეს, როგორ ვითარდება თოქინების თეატრის ხელშეწყობა, რა ტექნიკური და შემოქმედებითი ცვლილებები ხდება მის ცხოვრებაში, როგორ პერსპექტივებს უსახავს იგი დრამატურგებს. ამის ცოდნა მას საშუალებას მისცემს შეტყობოს ამოგონებლობა გამოიჩინოს, გააფართოოს მოქმედების არე, უფრო იდეური გახადოს პერსონაჟი. ზოგი ფიქრობს, რომ იღივს გამოხატვა თოქინის საქმე არ არისო, მაგრამ, ჩემის აზრით, უდიდო სექტაკლი მხოლოდ გასართობი სახანაბოა იქნება და მისი იდეურად დეტვირთვა აუცილებელ საჭიროებად მიმართა. ეს საუბრად არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვს უველაფერი დავეულებოთ და ისე ჩავუღლით პირში. პირიქით, საბავშვო სექტაკლებში სწორედ სიმბოლიკა, მეტაფორები, მიკრობოლები უნდა იყოს წინა პლანზე წამოყვანილი. მაგრამ უყოველივე ამას უნდა გააჩნდეს მოტივირება და ლოკაცია. ლოკაცია უველაფერს მოიცავს — მოქმედების განვითარების მთლიანობასაც, პერსონაჟის ხასიათის დამაჩერებლობასაც და იმასაც, თუ როგორ უნდა მტკიცებდნენ პერსონაჟები. საქმარისა პერსონაჟები ავამტყვევებელი ჩვეულებრივი, ყოველდღიური სასაუბრო ენით, და პიესა მაშინვე მოსაწყენი გახდება. ამიტომ უყოველმა დრამატურგმა, რომელსაც სურს თოქინების თეატრისათვის პიესა შექმნას, უარესად დიდი მნიშვნელობა უნდა მიუძღოდეს მტკიცეულების საკითხს, რამდენ პერსონაჟთა მტკიცეულებას არცერთი თეატრისათვის არა აქვს ისეთი ვადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც თოქინების თეატრისათვის.

აქვე მინდა შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე. ეს გახლავთ სექტაკლის მრავალწარულობის, ანუ მრავალკომპონენტურობის საკითხი. დღეს თეატრები სრულფასოვნად იყენებენ ხელოვნების ხელახლსხვა დარგებს და ეანრს, ყველა საშუალებით ამღიდრებენ და ამრავალფეროვნებენ სექტაკლს. რა უშლის ხელს იმას, რომ თოქინების თეატრის სექტაკლებში გაიმღიდრდეს სიმღერებით, მუსიკით, ცეკვებით, აკრობატიკით, კლოუნადით და ხელოვნების სხვა დარგებით. ენარული მრავალფეროვნება დრამატურგს კიდევ მეტ საშუალებას აძლევს საინტერესო და ორიგინალური ნაწარმოების შესაქმნელად.

მე ხშირად გამოვიჩინე დრამატურგისაგან, რომლის პიესა მინდობდაც არ მომწონებია, ასეთი სიტუატი: როგორც ვინდა, იხე დაღვიო. სხვა რა გზა გვაქვს. ვდგებით, მაგრამ მარტო დადგმა, როგორი ოსტატობითაც არ უნდა იყოს იგი განხორციელებული, საქმეს ვერ შევლობს. თუ უველაფერის ვახსნა და განზოგადება ჩვენ მოგვიხდება, მაშინ პიესაც აღარ არის საჭირო (სხვათა შორის, ზოგიერთი



თეატრი დღეს ამ მეთოდით მუშაობს), მაგრამ ჩვენ გვინდა არა მარტო თეატრის პროფესიული თეატრი გვემოხდეს, არამედ თეატრის თეატრის მალდობატორული დრამატურგია და ბევრად გვირჩევია, პიესის გასაღები თვით ავტორმა მოგვაროს. ისევე, როგორც ყველა თეატრში, ჩვენს თეატრშიც სანქციალის საფუძველი დრამატურული მასალა და დრამატურგის თეატრის თეატრის პიესისთვისაც ისევე უნდა შესტილიდეს გული, როგორც დრამატული თეატრის პიესისათვის შესტივია. ჩვენ დრამატურგებისაგან შემუქნარებულურ, ზერელე დამოკიდებულებას კი არ მოვიხიზოვთ, არამედ სერიოზულს, გააზრებულს, სასუსისმგებლობით გამსჭვალულს. ეს კი ჩვენი თეატრის ზედმწერებით ცოდნასა და ზომიერების გრძობას მოითხოვს. მე ვიცი, რომ რაც დრამატურგს თეატრში პიესა მოაქვს, იგი ბავშვების მიმართ კეთილი სურვილებითაა აღსავსე და სურს ისინი კიდევ უფრო კეთილი, კიდევ უფრო გონიერი გახადოს, მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ზომიერების გრძობა არ იქნა დატული, შეიძლება სცენაზე მხოლოდ იდილოური სურათები ვიხილოთ და ისეთი რამ ვუჩვენოთ ბავშვებს, რასაც ცხოვრებასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს. ეს კი ბავშვს იმედებს გაუტრებს და თეატრისადმი გულგრილს გახდის.

მინდა ჩვენი თეატრის სპეციფიკის კიდევ ერთი მხარეს შევხვი. ამ მხარე ჩვენ დრამატულ თეატრებზე უფრო მძიმე დღეში ვართ. პიესა მიღებულია, მომხანარეობს რესპიციები, მოსამზადებელი სამუშაოები, ვქმნით თეატრებს. დრამატულ თეატრს ყოველთვის შეუძლია მუშაობის პროცესში ბევრი რამ შესვლას, გადააეთოს, მნიშვნელოვან კორექციები შეიტანოს, ჩვენ კი ამავრც შესაძლებლობის მოკლებულნი ვართ. როგორც კი თეატრები დამზადდება, ჩვენ აღარაფრის შევცვლა და გადაცემა აღარ შეგვიძლია და დრამატურგებმა ეს გარეშეობაც უნდა გაითვალისწინონ მუშაობის პროცესში.


და ბოლოს კიდევ ერთი საკითხი. ბევრი ჩვენი პიესა გადატვირთულია მორალური სენტენციებით, დრამატურგ ცდილობს ბავშვი დაარჩოს, ქუე ასწავლოს. თეატრი კი მხოლოდ ზნეობის მოშუღად საქადგებლად, ბავშვისათვის ქუის სასწავლებლად არ არის შექმნილი. თეატრმა უნდა წარმოადგინოს, ანუ, უფრო სწორედ, ასახოს ცხოვრება, დანახოს ბავშვებს მისი ავი და კარგი, მისი მოშოდებული და უარყოფითი მხარეები და თვით მოქმედების განვითარების უტყუარობით დაარწმუნოს იგი, რა ამოხიზოს და რისთვის, რატომ განუდევს ბოროტს და მიემხროს კეთილს. ესეც დიდად აწვარისგანსავსე საკითხია, რადგან, ბუნებით, ბავშვს შიშველი ქუის სწავლობს არ უყვარს. ჩვენ უნდა ვხელომდვინავილობდეთ არა შვეონების, არამედ დარწმუნების მეთოდით.

თეატრის ქართული თეატრი, ისევე, როგორც ხელგანყვანილი ყველა დარგი, ქართველი ხალხის კულტურული საგანძურის ერთი რაოლია და მე იმედს მაქვს, რომ ქართველი დრამატურგების დამხარებით თავს დავადრეუთ იმ ქიზონის, რასაც ჩვენ დღეს რეპერტუარის სიღარიბის გამო ვანვილით.

გიორგი ხუზაშვილი — (დრამატურგი) თეატრის თეატრთან დრამატურგების მე მინტერესებს ორი საკითხი: თეორიული — რა თავისებურება, რა სპეციფიკა გახანია თეატრის თეატრის და, პრაქტიკული — რას მოვადრეუთ, რა დონეზე ვდგავართ. ვერკავნი ვერ დანერგს პიესას ისე, თუ არ იცნობს თეატრს, მით უმეტეს, თეატრის თეატრს, რომელსაც ბევრი სცენური და ტექნიკური თავისებურება გახანია. ჩემის აზრით, ჩვენ თავი უნდა მოვუფართო ნიჭიერ, თეატრის თეატრის სპეციფიკით დინტერესებულ დრამატურგებს და გამოვხანოთ თეატრსა და ამ დრამატურგებს შორის ურთიერთ-დაახლოების ზეტი. პირველ ასეთ ზეტი მე მიმანია კონკურსების მოწყობა. კონკურსში არ შეიძლება უფარგისმა პიესამ გაიმარჯვოს და, თუ გაიმარჯვა, იგი აუცილებლად უნდა დაიდგას. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება, კონკურსში გამარჯვებული პიესები უფრო-ადგილზე რჩება. ჩვენ დრამატურგებისაგან მხოლოდ საუკეთესო პიესებს მოვითხოვთ, მე კი ვის მომარჯვ ვარ, რომ დაინერგოს რაც შეიძლება მეტი პიესა, რადგან რაც უფრო მეტი სცენური ნაწარმოები გვექნება, რაც უფრო მდიდრები ვიქნებით პიესებით, შერჩევის შესაძლებლობაც მეტი გვექნება. ქართველმა დრამატურგებმა პიესები თამაშად უნდა წერონ და ერთხელ და სამოდამოდ ბოლო უნდა მოეღოს იმ ნიშაში, რასაც ჩვენი საზოგადოება, ჩვენი თეატრის მოდვანური ქართული დრამატურგის მიმართ იჩენენ. თუ ქართველ დრამატურგებს საჭირო პატივისცემა და დღავსება არ ექნება, ასეთ კრიზისულ მდგომარეობას ბოლო არასოდეს მოვლად. საოცარი ის არის, რომ ჩვენს მიერ დწინებულ ან უფრო-ადგილზე დატოვებულ პიესებს საიმპონებით იმეწნ რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების თეატრები და თავიანთ რეპერტუარს ახვებენ.

ვიმეორებ, ჩვენ, დრამატურგები, უფრო თამაშად უნდა ვწერდეთ, უფრო მეტს უნდა ვწერდეთ და უფრო ხელგანყვანილი უნდა ვყოთ ბავშვების მიმართ. მე მიმანია, რომ იმის ჩვენება, რასაც ბავშვი კითხულობს, თავისუფლად შეიძლება მისთვის. აქ არ მოვყვები იმის მტკიცებას, თუ რა მდიდარი ლიტერატურა, როგორი მრავალმხრივი და სანტერესო ფოლკლორი გვაქვს, ეს ისედაც ცნობილია ყველასათვის. მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთვის, ქართველებისათვის ამ მასალის გამოყენებლობა ყოველად დაუშვებ-

„კომბლ“



„თეთრი ზღუღი“



„შავლევა ციანა“





„ახეტალი“

მაგრამ პრაქტიკულად არაფერს არ ვაკეთებთ, ვერაღრი თუ ვერა
კობეხებით ჩვენი თეატრის მდგომარეობას. ნიჭიერი და მხატვრული
დრამატურგები თეატრს ახლოს არ ეკარებინან, ჩვენი და მხოლოდ
იმათ შოკათ პიესები, ვისაც გგონია, რომ თორინება თეატრისათ-
ვის სიესის დაწერა იოლი საქმეა და ასეთი პიესის დადგმა უფრო
იოლად ხერხდება. მათ იმის იმედი აქვთ, რომ ბავშვები ნაკლებ მო-
მთბონენ, ნაკლებ კრიტიკულნი არიან და მომთბინებთ აიტანენ მათ
ნახელავს, რაც მცდარ თვალსაზრისად და მცდარ პოზიციად მიმა-
ჩნია. ამიტომ ჩვენ ძალზე ხშირად გვიხდება კომპრომიზზე წასლა.
კომპრომიზის კი ჩვენივე კარგი არაფერი მოუტანია, რადგან კომპ-
რომიზი ყოველთვის ხარისხის ხარვეზ ხდება.

რადგან საქმე ჩვენს მტკიცეულ და ათეული წლები მანძილ-
ზე გაღაწეულად საქონის უბნა, მინდა რამდენიმე კონკრეტული
წინადადება შემოვიტანო. იქნებ, თორინების თეატრში დრამატურგის
დადგ შემოვიყო. მოვიწვიოთ დრამატურგები ჩვენი თეატრში, ვინ-
ვენით სექტაკლები, გავცნოთ ჩვენი მუშაობის სტეიფოცა და
მეთოდცა, ერთი სიტყვით, დავიანტერესოთ ისინი. შეიძლება ამის
შემდეგ მტი გულისყუფით მოვიდეთ ჩვენი თეატრის, მტი ხალი-
ხით შეუდგენ სიესის წერას.

მეორე — ხომ არ შეიძლება თორინების თეატრის სიესებზე კონ-
სერუსი თვით თეატრმა გამოაცხადოს და, თუ ასეთი კონსერუსი ჩა-
ტარდა, მტი მონაწილეობა მიიღოს საკონსერუსოდ წარმოდგენილი
სიესების შეუცხადებო. შეიძლება კონსერუსმა ამ შემთხვევაშიც ვერ
გამაძირლოს, როგორც არავინცდომ მოხდარა ადრე. მაგრამ ჩვენ
გვეცოდინება, ვინ არიან ადრეც ავტორები და რას უნდა მოვლო-
დეთ მათგან. თეატრში უნდა მოვიზიოდოთ გამოცდილ, კვალიფიცი-
რებული პროფესიონალები და შემთხვევითი აღმანების იმედი
თუ ვერცხვით.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ჩვენი თეატრის ფარდის, სცენას,
დარბაზს ავლია მონაწილეობა. ახლა საქართველოში ბევრი ნიჭი-
ერი მხავეციარი მოვადგურებს და ნუთუ არ შეგვიძლია მოვიწვი-
ოთ ისინი, აუფსონსა ჩვენი მდგომარეობა და ვთხოვოთ ღამაზე
მოვიხიზოთ ფარდა, მოვიგოთონ დარბაზი, გააფიოთონ ველოფე-
რი კი სტეიფოტურად. ბავშვების აღზრდაზე მარტო დრამატურგებმა
კი არ უნდა იფიქრონ, არამედ მხატვრებმა, კომპოზიტორებმაც და
ქორეოგრაფებმა, მათაც ვალდა აწეუთ გაფიოთონ ამ ბავშვებს გე-
მუნება, აზიარან ცაცხობობის კულტურულ მონაპოვარს, მოიზრ-
დეული გახადონ ის ვერემო, სწავდ ისინი იზრდებიან და ვითარდ-
ებიან.

და კიდევ ერთი, ნუთუ თეატრს არა აქვს უფლება დაუღოს ავ-
ტორს კონკრეტული ხელშეკრულება, რომლითაც შეწყდოს სწავ-
ლება მიცემა და ვალდებული იქნება ჩაებას თორინების თეატრის
ცხოვრებაში. შეიძლება ამგვარი დონისებამ გარკვეული საკგე-
ბობა მოგვიტანოს, თუ რაიმე კონკრეტული, ქმედითი დონის-
ტიანა არ დაგვახლო, მომავალში კიდევ უფრო გაგვიძირდებო, რა-
დგან მეტიმებად ღრმა უფსრული გვიკვს ამოსავლობა.

ჯამალ მარჩხაძე — ჩვენი უფლებები ვაკვს და გვეჩინა კიდევ
შემთხვევითი, როცა ცალკეულ ავტორებმა ხელშეკრულება
დავავიდეო, მაგრამ სასურველი შედეგი ზაიცი ვერ მივიღო. ზოგმა
ავტორმა იმასაც კი ვერ გაართვა თავი, რა თვითონ შემოგვთავაზ-
და რასაც შევინდოვდეთ და დეწერა სტრუქტურად, ზოგმა კი
თორინების თეატრისათვის პიესის დაწერა ავიღო საქმედ მიიჩნია
და რაღაც დაწერა, რომ ადვილი არ ყოფილა, საბოლოოდ მიაგე-
ნა თავი. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც მტი კეთილ-
სინდისებურა გამოიჩინეს, მტი პასუხისმგებლობით მოვადგნენ ამ
საქმეს და პიესა დაგვიწერეს. პირადად მე მინიშნებობა მოვლო-
ნად მიმაჩნია გერამ პეტერაშვილის საბავშვო მიობრობების გა-
მოჩენე ქართულ ლიტერატურაში. ჩვენ მას ვთხოვეთ დაეწერა
პიესა ჩვენი თეატრისათვის. მან თხოვნაზე უარი არ გვიბოძრა, პიესა
დავავიწერა, მაგრამ მისი პირველი ცდა წარუშედეგლო აღმოჩ-
ნდა. გერამ პეტერაშვილმა ამის შემდეგ ვული კი არ აიჭრუა თო-
ჩინების თეატრში, არამედ პირიქით, დაინტერესდა ჩვენი თეატრით,
ჩვენი სტეიფოცი, ჩვენი ხელფონებო და მე იმედს მაქვს, რომ მისი
მეორე პიესა გაცილებით უფროსი იქნება.

ზოგა თორინების თეატრის სტეიფოცაზე ვლამარკობო, ამას
ნურავინ გაიგებს ისე, თითქმის რაღაც გადასაყვანად ზეჯარს ვაგ-
ლებდებო ჩვენსა და სხვა თეატრებს შორის. არა, უბრალოდ ყველა

ლა, როგორ შეიძლება ქართულ თორინების თეატრს ათვისებულ
არ მქონდეს ვეცა-ფეაველას უმდიდრესი მემკვიდრეობა, მისი გა-
წირობრებელი საწყარო, როგორც შეიძლება არ იღებოდგენ
„შეღის წურის საწყარო“ და ვეპას სხვა შესანიშნავი საბავშვო წა-
წარმოებები, ჩვენი ხალხური ზეპირსიტყვიერების უშუფიერესი
ბალადები ვეცა და ქართული ხალხური წაწარმოებები ხომ ბავშვე-
ბისათვის ისევე გასაგებია, როგორც მონრალითათვის, ზოგ შემ-
თხვევაში შეიძლება უფრო შეედადეც გასაგებო, ჩვენ უმარავი კლასი-
კურთ, ქრესტოპალითი წაწარმოები ვაკვს და მათი უფურადღე-
ბოდ დაკრევაბა არ შეიძლება. ბავშვებს უნდა შევუფაროთ პოე-
ზია, გავუმზავლოთ წარმოდგენა, განუფართოო დამოუკლებლად
აზროვნების უნარი.

აქ გამართული საუბრიდან მე ისეთი შთაბეჭდილება დამჩრა, თო-
თქმის ცალკე არსებობდა მონრალითი პრობლემა და ცალკე ბავ-
შვთა პრობლემა, ან, უფრო სწავდ, მონრალითი და მონრალით
სხვადასხვაგვარი პრობლემები გაჩნდეთ. პირადად მე ამ აზრს არ
ვიზარებ. პრობლემები ყველასათვის ერთია და მათ ყველასათვის
ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. განსხვავება ამ პრობლემების მიწე-
დაშობა და არა მათ სხვაგვარიში. მივაჯარი, პრობლემა ბავშვის
იმ დონეზე და იმ დონით მივაწოდოთ, როგორც აღქმის, შეთვისე-
ბისა და გააზრების უნარით გაჩნია. ამ მხრივ ბავშვები დღეს
უფრო არიან მომწადებულნი, მეტს კითხულობენ, მეტს ხედებიან,
მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ბავშვი ბავშვი აღარაა და
მას ის უნდა ვეუღარაკოთ, როგორც მოზრდილს. რა ვთვითც-
ნობიერებული და ნაიხიცი არ უნდა იყოთ ბავშვი, მასში ყოველ-
თვის არჩება იმდენი ბავშვობა, რამდენიც მიხატა ბუნება და ზრდის
აუცილებელი პროცესი მოითხოვს და ამიტომ მისი დაინტერესება
მხოლოდ საბავშვო პიესით და საბავშვო სექტაკლით შეიძლება.
სხვა საიხიზია არა შინაჩინს, არ დონისა ესა თუ ის პიესა და მისი
საუფუძელზე შექმნილა სექტაკლი. ჩვენ ყოველთვის უნდა ვერ-
ლოთ ბავშვის მოტყუებას, მის დამტყუებას, ისეთი მასალა მიწე-
დებას, რაც მას უფლებას მისცევს ჩვენ, მოზრდილები, ჩამორჩინე-
ლები და ბრუცებდა ჩავგვთვალს. სწორედ აქ ვამართებს დიდი
ტუბტი როგორც დრამატურგებს, ასევე საბავშვო სექტაკლების რე-
ჟისორებს. სწორედ ამისთვისაა საჭირო, რომ ვეცოდნებო მის
ხელს, ფსიქიკას, ზნეობრივ მოთხოვნილებებს.

ამთამან პედაგოგი — (საბავშვო მწერალი) ბოლო დღის ბევ-
რი ხანტერესო საუბრის მომსწრე ვარ თორინების თეატრის დრა-
მატურგის საიესებზე. მაგრამ ვერცხვობით მდგომარეობა არ
გამოსწრებულა და ჩვენ ისევე მინიშ მდგომარეობა ვიყოფეთით.
არ ვაგვჩინა მხატვრულად გამართული, სერიოზული, პროფესიუ-
ლი ისტატობით დაწერილი პიესები. თეორიულად ჩვენ თორინ-
ბის თეატრზე ბევრი რამ ვიციოთ, ვიციოთ, რა გვიჭირს და რატომ,


თეატრის სცენაზე გამოდის ცოცხალი ადამიანი და აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ცოცხალ ადამიანს მოეხოვება, ჩვენს თეატრში კი საქმე აქვს საგანთან, თოქნას საგანთან და ამ სპექტაკლურ მხარეს აუკეთებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. თუ ცოცხალ ადამიანს უჭირს იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც შეუძლებელია თოქნას, თოქნასაც უჭირს იმის გაკეთება, რისი უნარაც ცოცხალ ადამიანს შესწევს. თოქნების თეატრის სპექტაკლურობით ჩვენ თავი კი არ მოვაკავს, არამედ გვირღვს და გარემოება გაითავალისწინონ ჩვენმა ამყარებულმა და მომავალმა დრამატურებმა.

დავუბრუნდეთ ისევ მთავარი გმირის პრობლემას. ფილმზე მუშაობის დამთავრებისთანავე ჟურნალმა „დრუჟბა ნაროდოვ“ გამოაქვეყნა მისი კორესპონდენტის მიერ ჩაწერილი ინტერვიუ დამდგმელ რეჟისორებთან (აქვე გვინდა გავისხნეთ, რომ მრავალმილიონიანი რუსი მკითხველი, და ცხადია, არა მხოლოდ რუსი, სწორედ ამ ჟურნალის ფურცლებზე გაცნო პირველად ჭაბუკა ამირეჯიბის რომანს, ხოლო თვით ჟურნალმა სამართლიანად შეფასა იგი, როგორც „უკანასკნელი წლების ქართული რომანტიკის ერთ-ერთი ყველაზე სანატრესო მოვლენა“). ინტერვიუში რეჟისორები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ „დათა თუთაშისა“ — ეს არის მრავალი პერსონაჟის, მაგრამ ერთი გმირის ფილმი, გმირისა, რომელზეც მოდის ამ ვრცელი შეიდევრების სურათის უსაზარმაზარი ფილოსოფიური დატვირთვა“.

ეს გმირი დათა თუთაშისა — ყველა ადამიანური სიკეთით შემკული ძე სიმართლისა, — მუდამ პირნათელი საკუთარი ზნეობის წინაშე, ძე უცდომილი, — მუდამ მომართული ერის წინაშე თავისი ადამიანური ვალის შესასრულებლად. სიმართლის მამიძებლმა დათა თუთაშისა ბოროტების დასათრგუნავად ცხოვრების რთულ ლაბირინთებში გასავლელი ბევრი გზა გამოსცადა, მაგრამ ყველაზე იმედგაცრუება არცუნა ბედმა. რატომ? იმიტომ, რომ „არა არს სიფელსა ამას განსვენება: არც კეთილი რაჲმ მოუწყინარი, არცა გესსივნების გუ-

შინ რა კეთილი იხილდ, ანუ ძოდან რა ბოროტი მოვცა. და არაღა იცი ხვალე გინა მწუხრი რა ყოვად არა შესსუდა. ვითარცა სიზმრისა წუხანდელისა ხსენება, აგრე არს დილანდელი საქმე შუადღე“. მაგრამ ეს ხომ საქრისტიანო ქადაგებაა და იმქვეყნიურ „მარადიულ სასუფეველთან“ შედარებით ამქვეყნიური ყოფიერების ამათების დამტკიცებას ისახავს მიზნად. იგი დათა თუთაშისა ცხოვრებისეული ფილოსოფია არაა! დათას ფილოსოფია ცხოვრების უკეთურობის წინაშე ქედმუხუბრების, ავებდთან შეურთიბებობის, სამართლიანობის გამარჯვების, ბოროტის დათრგუნვის, სიკეთის სუფევის სახელით ბრძოლის ფილოსოფიაა.

მაგრამ როგორ უნდა აქციო სიკეთისა და სათნოების ამბიტიციული იდეა-მოძღვრება რეალობად, ცხოვრებისეული სინამდვილედ. ყოფიერებად? ამ გზის ძიებას შეეწირა დათა თუთაშისა მთელი სიცოცხლე, მაგრამ ჩვენ განგვიმტკიცდა რწმენა, რომ ეს ძიება ბოლოს და ბოლოს თავისი კეთილნაყოფიერი შედეგით დაგვირგვინდებოდა...

ახლა კი, მაცურებელთან ერთად თვლი გავადევნოთ, თუ როგორ ვითარდება და ყალიბდება დათა თუთაშისას ხასიათი ფილმში, ანუ როგორია ამ ხასიათის კინემატოგრაფიული ევოლუცია. გავიხსენოთ ფილმის ზოგადი ძირითადი ეპიზოდი. პირველი კადრი: ეკრანზე საშუალოზე მსხვილი პლანით ჩანს მამაკაცის დაკაპიწებული ხელები, რომლებიც დიდი ქოთნიდან ყველს ამოიყვანა და გობზე გადააღებს. არავითარი რომანტიკა და სიმბოლიკა. ასე უბრალოდ, მიწვირად შემოდის ფილმში მკვრივ დათა თუთაშისა... შემდეგ სტუმარი როგანოვი (მასაბიბი ვ. ჭიტაიშვილი), მეგობრის მიერ გამოგზავნილი დროებით თავშესაფარებლად. მეგობრის წერილიდან დათასთვის გასაცემი ხდება, რომ ეს კაცი დღეებით რევოლუციონერია, და თუმცა პოლიტიკა და რევოლუციონერები მისი საქმე არაა, სტუმარი მაინც განგების მოვლენილია (ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მეგობრის გამოგზავნილია) და ქართულ კაცის ძვალ-ჩინოში გამჯდარი ტრადიციის თანახმად მასპინძლობაზე უარს თქმა არ გვების...

შეხვედრამ ქველთ ქუფარისათან, მამასასხლისათან (გ. ებრაელიძე): გაჭირებულს ხელი უნდა შეაშველო. მოყვას დახმარებაზე უარი არ უნდა უთხრა, — ეს დათას ზნეობის ანა-



ბანა. ასევე იქვეა, დაღლილ მამასახლისს თავის მიმე ტომრიანად ურემზე შემოისვამს, მაგრამ როგორც კი მის გველამაჩუბობს, სულმდაბლობას შეიცნობს, აუცილებელ განაჩენს ერთი წუთითაც არ დააკայუნებს: „ჩამოეთრიე ძირს, ძაღლის შეილო, ქუფარია!“ შემდეგ კი როგანოვის შეგონებაზე — „ბოროტების მოსაპობა ამ ქვეყანაზე ადილი საქმე ნუ გგონია, მართო ამას ვერ მოერევი“, — გულდაკურებით უპასუხებს: ჩემს წელს მე მოვერევიო.

პირველსავე ეპიზოდებში უკვე ნათლად გამოიკვეთა მთავარი გმირის ზნეობრივი სახე. ახლა ჩვენ ვიცით, რომ დათა თუთაშხია რაინდული სულის ადამიანია და მომავალში მისგან მხოლოდ სიქველეს, სიკეთის ქომავობას უნდა ველოდეთ. რა სახეს მიიღებს ეს ქომავობა და როგორ შეტრიალდება იგი თვით ქომავისათვის, ეს უკვე სხვა საკითხია.

როგანოვე პოლიციის თავდასხმის სცენა. დათას ვაჟა-ფშაველას ჯოყოსასავით არ შეუძახნია: რას ხნადით, ვის

თუმცა, გული არ უშვებდა, მაგრამ დათა მაინც წაყვანაწაწაშა რქისტ ბუბუტეიშვილს (ი. გოგიანიშვილი) ხალხის წურბელა მევასზე ბულავასათვის (ი. ლეონია) ფულის წასართმევად, რატომ? იგი პოლიტიკაში ცუდად რომ ერეგვება, ამას არც მალავს, მაგრამ იცის, რომ ქანდაკმერისა და მეფეზე კუბო არაფერი შეიძლება იყოს ამქვეყნად. ორჭოფობს, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ ამ ანარქისტებს ვებებ მართლად შეუძლიათ დაეხმარონ ჩვენს გაუბედურებულ ხალხსო... ხოლო შემდეგ, როცა ნიკოფორე თუთაშხიას ეტყვის — გახსოვდეს, შენ ახლა ხალხის კეთილდღეობისათვის მოქმედებდიო, დათა სათქმელს გულში არ დაიტოვებს: „მაინც არ მჯერა, რომ ნაძარცვი ფულით შეიძლებოდეს ხალხთა ბედნიერების მოპოება“. აკი არც შემცდარა: იმ ნაძარცვი ფულით ხალხის საკეთილდღეოდ კენჭიც კი არავის დაუღვეს კენჭზე.

დამენაგებული ბუდარა (ლ. ანთაძე) და მისი ცოლი ბუდარისა (ი. გიგოშვილი). ისევ გაუწოდა დახმარების ხელი



კადრი ფილმიდან. ბუჩუნი პერტია — ქ. კენაძე, დათა — ლ. მელვიანოსკი-ცესი

სტუმარს ბოჭავთ თოკითაო. თუმცა იცოდა, რომ სასულმწიფო კანონიერების წინაშე ერთი დანაშაული უკვე ჩადენილი ჰქონდა (მან ხომ კანონის მიერ დევნილი რევოლუციონერი შეიფარა!), წუთითაც არ დაფიქრებულა. ერთბაშად გადაეშვა ბრძოლაში სტუმრის დასახსნელად. მორალი: როცა სიკეთეს უჭირს, როცა სტუმარ-მასპინძლობის ღირსებას შეგინებას უპირებენ, მაშინ თავგანწირვა მაღალი ზნეობის უპირველესი კანონია. დათამ ბოროტება (ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დაკანონებული პოლიციის ძალმომრეობა) ვერ დათრგუნა, სტუმარი (ანუ სიკეთე) ვერ დაიხსნა, ახალი, უკვე ცხადი დანაშაული ჩაიდინა და იძულებული შეიქნა გააბრავეებულიყო.

დათას შეეძლო დაესაჯა ბოროტება, მოეკლა ნიკანდრა ქილია (გ. საკანდელიძე) — ძალმომრეობის მცველი, აზრავი რავა სარჩიშვილი (გ. ფირცხალავა) — ხალხის მძარცველი, ხელიც არ აუკანკალდებოდა, მაგრამ მისი ჰუმანიზმი ვერ თავსებს მცნებას „კბოლი კბილისა ვილი“ და მიჩანია, რომ სიკეთის ნერგი თვითონ იხარებს...

დათამ გაჭირვებულს, ფეხზე წამოაყენა, მათი სატყვიარი გულთან მიიტანა, რატომ იქმოდა ამას, რისი იმედი ჰქონდა? სხვათა სიკეთისათვის იქმოდა, ფიქრობდა, რომ გაუგებდნენ გულის სიმართლეს: „სხვა შეხედებით ვინმე გაჭირვებული და როგორც მე დავეხმარე მავათ, ისე დაეხმარებიან მაგენიც იმ გაჭირვებულს“. მაგრამ რა გამოვიდა? რა მიიღო, რა ნახა დათამ სანაცვლოდ: უმადურობა, გაუამძღრობა, სიხარბე, შური, გაზულუქებულის თავგასულობა, გაუტანლობა. კიდევ ერთი იმედგაცრეობა იცემა სიმართლისა და სიკეთის მამიებელმა რაინდმა. სადაც არა სჯობს, გაცალა სჯობსო, და გაეცალა იჭაურობას, თუმცა, ღმერთია მოწამე, სიკეთის გაკეთება მინდობაო.

რამდენიმე დღე სეთურის (დ. აბაშიძე) საფულოში. რომანის არმცოდნე კინომასყურბლისათვის სეთურის „სავანე“, მისი საქმიანობა გაუგებრობის ბურუსით არის მოცული და რამდენადმე მოკლებულია რეალობას, ამდენად, დამაჯერებლობასაც. რომანის მიხედვით, სეთური, რომელსაც ოჯახი ქუთაისში ჰყავდა, ხოლო საიღრმის ტყეებში სარეწეში ჰქონდა, გვა-



რიან ფულს აკეთებდა. ერთგვარი მიწა იყო იმ ადგილებში, — მუშებს ათხრევენებად ამ მიწას, ქუთაისში ჩამოქონდა, იქ ინლისელები ყიდულობდნენ და ნავთის, წყლის და მისთანებებს ამოღებენ ყოფილა გამოსადეგი, — უამბობს წიგნიში მოსე ზამთარაძე (ზ. ლაფრაძე) დათას. ამ მომენტზე ფილმში არავითარი მინიშნება არ არის, სჯობდა ვი რომ ყოფილი იყო, რადგან ამით სეთურის ეპიზოდი რეალურბოხს შეიძენდა, მარტო მსატრელი სიმფოლოკა არ იქნებოდა და მასურბეზელზე უფრო მეტი დამაჯერებლობით იმოქმედებდა.

დათა ჰუმანიტიკა და, ცხადია, არ შეუძლია მიიღოს სეთურის კაცობრიულობის ფილოსოფია, მისი ცინიზმი, ვითომუ ხალხის საკეთილდღეოდ რომ მოუმარჯვებია. სტუმარი იყო, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა მასპინძლის მიერ ადამიანის გაპიურტყვება და ერთხელ კიდევ სცადა ბოროტების დათრგუნვა:

„რას შერებთ ხალხო, რას გაეხართ, თუ ხედავთ ამას! ვინ ხართ, თქვე უმადლებო, რა ჯიშის ხართ! რა გიყუთ, რას დამსვავსათ ამ მამაძალმა ბელ სეთურმა და ამ მოსასპობმა თაბაგარმა, ამ ფიტობთ?!..“

მაგრამ ადამიანის სახედაკარგულმა, დაბნეაბებულმა, გულმოდცილმა ადამიანისმაგვარმა არსებებმა დათა მტრად შერაცხა და სასიკვდილოდ გაიმეტეს. კიდევ ერთხელ გამოსცადა დათამ იმდგაცურება და შეიცნო თავისი მარტოულობა. იმასაც მიხვდა, თორიას ვირთსაკვირებზე უკეთესები რომ არ არიან ადამიანები. თითქოს გარდაუვალი იყო გარკვეული დასკვნის გამოტება და, აი, ისიც: „...ფიცი დამიღვია, ავარ ჩავერევი აღარავის საქმეში, სანამ არ დავრწმუნდები, ჩარევა სჯობს თუ ჩაურევლობა. მგინია არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევის და დახმარების ღირსი რომ იყოს!..“ ამ ზრის ფილმში არსად არ გვიხიარება დათა, მაგრამ მასურბეზელი გრძნობს, რომ მის სულში მომწიფდა ნიადაგი ამისათვის. გრძნობს, მაგრამ საყვედურის ღირსად ვერ იმეტებს საყვერდელ გვირს.

ამიტომ გულისკანკალით აპატიებს მასურბეზელი დათა თუთაშვიას დურუხ (ბ. ზაქარაძე) დუქანში დატრიალებული ტრაგედიისაგან თავის გარიღებას, რაჯა საჩინოლიას დაუსჯელობას მორდუხის (ა. ვასაძე) სახლში მასთან შესხედროხას, იმ შურაქცყოფის გადაყლაპავას, პირტიტელა ოფიცერს გახტანე მათოთურამ (ა. ოსლონიანი) რომ მიაცნა, აპატიებს იმასაც, რომ სათანადო არ მიუღო გამყიდველ ზარანვას (ნ. ხიდურელი) მშაკვრობას, ფულსათვის დახარბებულ ჯინჯოლიას (ვ. ბრეგვაძე) და ბონია მეწისქელეს (ბ. ვიფორია).

დათა თუთაშვია რაინდული სულის ადამიანი იყო და ასეთივე დარჩა ბოლომდე. ფილმის ავტორებმა და უწინარეხად კი ოთარ მეღვინეთუხუცესმა, — ქართული თეატრისა და კინოს ათარბეზელმა ოსტატმა, — დიდი ხელოვნებით წარმოგიდინგეს ამ რთული კინოსახის ლოგიკური განვითარება და სრულყოფა, დააფუძნეს რა იგი ღრმადმეცნიეროდ ცხოვრებისეულ, სიცალიურ კანონზომიერებათა ლოგიკაზე. არ არის ფილმში არცერთი ეპიზოდი, არცერთი კადრი, სადაც არ ვხიბლავთ მასანიობის ბუნებრივად, უსუალობა, დამაჯერებლობა. ვერანზე თითქოს არ არსებობს მასანიობი, თითქოს, არ არსებობს ოთარ მეღვინეთუხუცესი, ვერანზე ცხოვრობს მხოლოდ დათა თუთაშვია

ფილმში მრავალი პერსონაჟია. მრავალაგან ცალკე უნდა

გამოვყოთ მუშნი ზარანდია (მასახობი თენგიზ არჩვაძე) და გრაფი სვედი (იური იარვეტი).

თავისი ძლიერი ბუნებით, დასახული მიზნის მიხედვად დაუოკებელი სწრაფვით, კონცენტრაციონობით, ალტონონობით, მოხერხებულობით და გამჭირბახობით მუშნი ზარანდია დათას თავისებური ორფულია, ადამიანური ნატურის მწელი მხარეა. რომ არ ყოფილიყო მუშნი ზარანდია, არ იქნებოდა დათა თუთაშვია. ეს სიტყვების თამაში და სიმფოლოკა კი არ არის, რეალობა. ეს ორი ხასიათი კიდევ ასეებენ ერთმანეთს და კიდევ გამორიცხავენ. თითოეული მათგანის სულთეირ ბუნებისა და ზნეობის ღირებულების შესაცნობად პირველი ისევე აუცილებელი მეორისათვის, როგორც მეორე — პირველისათვის. პარალელი იქნენ ზუსტი არ იყოს, მაგრამ აქ, ვიფორბოთ, მიცნე შეიძლება ქრისტიანად და იუდას გახსენება. იუდა რომ იმდგათ ვერცხლს არ დახანებობდა, მამონი, ალბათ, არ იქნებოდა ჯვარცმული მაცხოვარი. მაგრამ ქრისტემ თავისივე განაგების ძალით მოაშუხადა დათასი მოწამებრივი საყვდილი, რათა სიკვდილითივე დაეთრგუნა სიკვდილი და უკვდავება მოეპოვებინა...

მუშნი დათას ანტიპოლია, მისი იდეური მტერია და, ამიტომ, მას სიკეთის დამთრგუნველის ფუნქცია აკისრია. თანდარმტრიაში მონარქული სახელმწიფოს დამცველად იგი თავისმა რწმენამ მიიყვანა და არა სამსახურის ძიებამ. ეს რწმენა ბოროტ ზრახვებზე რღოდა დაფუძნებული. პირიქით, მუშნივსა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ამოძრავებს.

ზარანდიას ღრმად სწამს, რომ „თანამდებობის სიმადლიდან მეტი მოხერხდება“ და ამბობს: „მეტი სარგებლობის მოტანას შევძლებ ჩემი ქვეყნიისათვის და ხალხისათვის“.

— მაგ განზრახვით და დამირებით ბევრმა თილწია მადალ თანამდებობას, მარა იქ რომ მივიდა, მერე ვეღარ შეძლო სურვილისა და დაპირების შესრულება, — სიტყვა ჩამართვა მუშნის აღმზრდელმა მამამ.

— ეგ კაცი არ ვარ მე, ბაბა! ტახტს იმიტომ ვეშასხურები, რომ არსებულზე უკეთეს აწუყოს და მომავალს ჩემი სამშობლოსათვის ჯერჯერობით ვერ ვხედავ... რეკლუციონერები და პოლიტიკოსები ისეთ დებულებებს თუ წამოაყენებენ, სადაც ჩემი ერის უკეთეს მომავალს დაგინახავ და ვირწმუნებ, მათი მხარის დაჭერას ვერანც დამასწრებს...

მუშნი ზარანდია არ პოზიორბობს. მას ძვალ-რბილში აქვს გამაფრთხილი თავისი რწმენა, და თუმც განზრახვა კეთილდღეობისა, — ეშასურის თავის ქვეყანას, თავისი ხალხის კეთილდღეობას, — მაინც ბოროტების წისქვილზე ასხანა წყალს, რამეთუ, მონარქიული სახელმწიფოს მსგავსად, თავისი საქმიანობით საზოგადოების განვითარებას ამხრუტებს. გარკვეული დოხოეს შენებისათვის აქვს, რადგან იცის, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა გამორიცხულია, თუ მან ზოგადკაცობრიული სამართლიანობისა და ზნეობრიობის ნორმები არ დაარღვია. მეორეს მხრივ, მისთვის ისიც ნათელია, რომ ადამიანთა უზრავლესობამ აღნიშნული სამართლიანობა და ზნეობრივი ნორმები თუ არ მიიკცა — სახელმწიფო კეჯრა, ალბათ, თვით სიცოცხლედ მოიკცა. იმპერიის შემთხვევითი ცივიერება და ბოროტება სწორედ სახელმწიფოს მის იარაღია, რომლითაც მან საზოგადოებას სამართლიანობისა და სიკეთის ნორმები უნდა აღასრულებინოს.



რამდენადღაც მუშნი ერთგულია თავისი რწმენისა, ამის კვალობაზე კი მონარქიული წყობისა, იმდენად საშინოა იგი თავიანთ ვერაგობით და ცბიერებით. მით უმეტეს მასწინ, როცა პის ხელშია ძალაუფლება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალ-მოპირფობის განხორციელების იარაღი.

აღსრულელი დედის სიტყვებზე, ძმებისათვის ვერ ჩამიდგა ერთმანეთის სიტყვები გულში, მუშნი ფიცხლავ უპასუხებს:

— პირიქით არის, დედა, ეგ ისეთ გზებზე გაგიყვანა განგებამ, სხვა ძმებო, ჩვენს ადგილზე, მტრად გადაკვიდებოდნენ ერთმანეთსო.

დათას არასოდეს სადგია გულში თავისი ჯანდარმი ბიძაშვილის მტრობა. „შენს საკეთებლასაც და ჩემს საკეთებულსაც ჩვენი ძმობის სიწმინდე ჯობია მუშნი!“ — ასეთი იყო მისი ალღი გულისთქმა და დამატკიკა კიდევ: თავისი ფეხით მიკლდა პოლიციასი და ცხიხეში ჩაჯდა. კვების არც მუშნის გულს ეუფლებოდა აზრები მამიდაშვილისადმი მტრობა, მაგრამ მისმა მისიმოყვარებობამ რომ მხოლოდ მტრობა აზენია?..

„ოქვენ ისეთ სიმაღლებზე მიადწიეთ, მუშნი, რომელსაც დათა თუთაშვიას ვერანაირი საქციელი ვერ შესწევდება. თქვენი გულისწყრომა რამდენადმე გაუგებარია!“ (ლაპარაკია იმით გამოწვეულ გულისწყრომაზე, დათა პოლიტიკაში რომ ჩაებდა და ცხიხიდანაც გაიქცა. — ლ. კ.)

„გაუგებარია? — მიუგებს მუშნი. — მოგახსენებთ, გრაფო, მუდამ ასე იყო და ამჟამადც იმ პრინციპით ვხელმძღვანელობ, რომ ნამდვილმა ადამიანმა არა მარტო ბოროტება უნდა სძლიოს, არამედ სიკეთედაც გადააქციოს იგი. ამის გარდა, თუთაშვია უკვე ფეხებში მებლანდება!“

და ამ „ნამდვილმა ადამიანმა“ ისეთი მუხანათური სიკვდილი მოუშხადა თავის მამიდაშვილს, რომ ყოველგვარი მოულოდნელობისა და მხაკვრობისათვის მზადყოფნა დათასაც მხოლოდდა გაოცება აღმოხდა: ეს რამ მოაფიქრებინაო.

ამაზე შორს განა სად წაუვა ადამიანური ვერაგობა, ცინიზმი და მუხანათობა?!

რა უნდა თქვას თენგიზ არჩვაძის სამსახიობო ოსტატობაზე? მუშნი ზარანდიას როლის განსახიერებით მან ისეთსავე მწვერვალზე მიადწია, როგორაც მისმა გმირმა — სამსახუ-

რებრივი იერარქიის კიბეზე. მან შექმნა ცოცხალი სახე, რომლის სიცოცხლისუნარიანობა თვითნაც ირმუნა და მაცხოვრებელი ხელმაც. ამას მხოლოდ ერთადერთი სახელი აქვს: აქტიორული ხელოვნების გამაჯვების ზეიმი.


გრადი სვედი, საბჭოთა კინოსა და თეატრის აღიარებული ოსტატის იური იარვეცის განსახიერებით, სამსახურებრივი მოვალეობის უსაზღვროდ ერთგულია. ცარიზმის ჯანდარმობაში სამსახური მას ბედმა არგუნა და არა სულიერმა მოწოდებამ. იგი განალოებული, გონებაგამჭრახი, გონებათაღელი ადამიანია, რომელიც პოლიციის ყველა აუცილებელი თვისებით არის აღჭურვილი. მიზნობი ადამიანის გულის მონადირება ადვილად შეუძლია, თუმცა ამ ნდობას სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების სასარგებლოდ გამოიყენებს და არა დამანაშავის საკვილდელოდ. დიდი ოსტატობა და აქტიორული გამოცდილება ი. იარვეცს საშუალებას აძლევს ყოველთვის მართალი იყოს. არავითარი სიყალბე და თამაში. ეს ის შემთხვევაა, რომელსაც ხატოვნად ამბობენ — ცხოვრება ხელოვნებაში.

მრავალგერიანი „დათა თუთაშვია“ სატელევიზიო ფილმია და, ცხადია, ჯანრის სპეციფიკა საცვრანო კინონაწარმოებთან შედარებით გარკვეულ უიარატესობას იძლევა. თუნდაც სწორედ ამის შედეგია, რომ ფილმში შენაროუნებელი იქნა ბევრი დიალოგი, რომლებსაც უდიდესი მხატვრული დატვირთვა აკისრიათ რომანში. გავისხნით მეთხე სერია, დათას თავდადასავლის თბილისური ეპიზოდები, მუშნი ზარანდიასა და სეველის დიალოგები, დათასა და მუშნის შეხვედრა აღმზრდელი მოშობლების ოჯახში... აქ მხოლოდ დიალოგია პერსონაჟთა შინაგანი ბუნების წარმოჩენის უმთავრესი კინემატოგრაფიული ხერხი. და წარმოიგინეთ, ეს დიალოგები რომ მოსაწყენი და გაჭიანურებული მოჩვენებოდა მაცურებელს, როდენ ბევრი დააკლდებოდა ფილმის ემოციურ აღქმას. ავტორებმა სძლიეს ეს სირთულე და, ცხადია, აქ თავისი როლი ითამაშა სატელევიზიო ჟანრის სპეციფიკამ: ის, რაც შეიძლება მოსაწყენი ყოფილიყო კინოდარბაზში, ცისფერ ეკრანთან, ოჯახურ სიმყუდროვეში საცებით ბუნებრივი და კანონზომიერი (სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ ფილმი ჯერჯერობით მხოლოდ კინოთეატრების ეკრანებზე იხილა



ადრი ფილმდანი. მუშნი ზარანდია — ი. არჩვაძე, ნიკანდრო ქილა — კ. საკანდელიძე

კადრი ფილმდან. ნანო — ს. ჭიაურელი, ირაკლი ხურციძე — გ. საღარაძე, დათა — ო. შევლინეთუხუცესი



მაყურებელმა და გატანურებული, ანუ მოსაწყენი, მგონი არავის არაფერი მოჩვენებია).

ფილმში მრავალი პერსონაჟია. ზოგი ბოლომდე გასდევს შეილსავე სერიას, ზოგიერთს ცალკეულ სერიაში თუ ეპიზოდში ვხვდებით. მაგრამ ეს შეხვედრა თითქმის ყოველთვის დაუეწყარი შთაბეჭდილება მაყურებლისათვის. აქ ურიგო არ იქნება გავისხენით ცნობილი გამოთქმა: არ არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობს მხოლოდ დიდი და პატარა მსახიობი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ ყოველი როლის შემსრულებელი სწორედ დიდი მსახიობია. ასეთი შეფასება სრულებითაც არ არის გადაჭარბებული. აბა, თვალი გავადგენით და გავისხენით ზოგიერთი მათგანი მაინც: ნიკანდრო ქილია — კ. საკანდელიძე, რაჟა სარჩიშვილი — გ. ფირცხალავა, შვანგირაძე — რ. მიქაბერიძე, ნანო — ს. ჭიაურელი, ბეჩუნი პერტია — ქ. კვიციანიძე, გოგი წულაძე — ი. კახიანი, კაკა ბულავა — ი. ხვიციანი, მაგალი ზარანდია — გ. საღარაძე, უსინათლო მორდუხია — ა. ვასაძე, სეთური — დ. აბაშიძე, ასინეთა — ს. თაყაიშვილი, თიკო — ლ. ელიავა, სხენივეი — ო. კობერიძე, კიკუ — ნ. გაგნიძე, სანდრო ქორიძე — გ. გემეჭკორი, ირაკლი ხურციძე — გურ. საღარაძე, ბეჭარი — ზ. ჭაფიანიძე, კოსტა — გ. ბერიკაშვილი, შვანია — ვ. ნინიძე, ფეშთა — ზ. კვერცხიშვილი, კახა — გ. ხარაბაძე, ბერი იასე — ვ. წულაძე, გუდუნა — ტ. წიქორიძე, ბოლდლო — ლ. ფილფანი...

ცხადია, ფილმის ავტორების მთელი ყურადღება მიპყრობილია მთავარი გმირის და სხვა უმნიშვნელოვანესი პერსონაჟების კინემატოგრაფიული სახეების გამოძიერვისადმი, მაგრამ მათ ისიც კარგად იციან, რომ საკმარისია მცირედი გულკრილობაც კი ე. წ. ეპიზოდური როლების მიმართ, რომ ამით ჩრდილი მიადგეს მთავარ გმირს, და, საერთოდ, მთელს მათ ნამუშევარს. ამიტომაც მუშაობენ ისინი მთელის გულმოდგინებით (მსახიობებთან ერთად) ეპიზოდური როლების სრულყოფისათვის. აბა, ვინ არ იცის სეპილია თაყაიშვილის აქტიორული ოსტატობა და ვის არ განუცდია მისი ხელოვნების ჯადო, ვინ არ მოხიბლულა მისით და ცხოვრების მუდმივ შთაბეჭდილებად არ გააყოლია სცენაზე თუ კინოში მის მიერ

შექმნილი ადამიანთა სახეები. მაგრამ ასინეთა სწორედ რომ გამოჩნეულია, სწორედ რომ გაკვირვების საგანია და აქტიორული ხელოვნების უმდიდრეს შესაძლებლობათა გამოვლენის საუკეთესო ნიმუშია. შთაბეჭდილება ისეთი ძლიერია, რომ არ შეიძლება არ ირწმუნო: ასინეთა მხოლოდ და მხოლოდ ესულია თაყაიშვილს უნდა გავიცხოვლებინა ვერანაზე.

აკაკი ვასაძის მთელი შემოქმედება ხელთუქმნილი ძველი ქართულ სასცენო ხელოვნებაში. მის სიმძლავს არც რა დააკლდეზოდა უსინათლო მორდუხია რომ არ მოვლინებოდა ქართულ მწერლობას. არ დააკლდეზოდა ერთია, მაგრამ რომ მოუმატა, ეს კი ცხადია. ბრძენი მოხუცი, მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი, სიკეთისა და სათნოების სახეება, მოყვასისათვის საკუთარი გულის მიმცემი, — ასეთია აკაკი ვასაძის გმირი. მსახიობის განუმეორებელი ოსტატობის მეოხებით ასეთად დასახლდა იგი ჩვენს გვერდით და ჩვენს ცნობიერებაში არსებული კეთილი საწყისების დარჯად იქცა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით დასაფასებელი მიღწევაა ფილმის მალარი, ჭემშარიტად აკადემური დინე. ეს თანაზრად ექება რეჟისურასაც, აქტიორულ ხელოვნებასაც, ოპერატორის (ლევან ნამვალაშვილი) ნამუშევარსაც, მხატვრობასაც (კახი ხუციშვილი). მუსიკალურ თანხლებასაც (ბიძინა კვერცხიძე, ჯანსუღ კახიძე), მონტაჟსაც (რეთისორი გ. დლომენკო). ახლა ამაზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იყო საშინოოება ფილმის ავტორები ცდუნებას აყოლოდნენ და ზომიერ მერტივატა გამოქონინათ ე. წ. საოვგადსავალი რომანტიკით, რომლის საფუძველს რომანი დიასაც რომ იძლეოდა. საბედნიეროდ, მათ აირიჩეს სწორედ ისეთი გზა, რომელმაც საშუალება მოგვცა მაქსიმალურად ჩავეწვდომოდით მხატვრული ნაწარმოების სიღრმეებს. იქნადა უკვე აღარავის მიაჩინა სადავოდ, — წერდა ერთ-ერთი რეცენზენტი, — რომ რომანისა და ფილმის ესოდენ დიდი წარმატება გამოიწვია არა დათა თუთაშვილის ფათერაკიანი თავგადასავლისადმი ინტერესმა, არამედ ამ თავგადასავლის ღრმად ერეწულმა, ზოგადადამიანურმა და ფილოსოფიურმა მნიშვნელობამ. მეოთხევისა და მაყურებლის თვალწინ ადამიანის თვითოვავების, თვითშემეცნებისა და თვით-

გარდაქმნის შემადარწუნებელი ამავიე გათამაშდა“ (გახეთი „კომუნისტ“) .

ფილმში საკმაო დონით არის სათავედასავლო-სანახაო-ბითი ელემენტები — თვალის წარმტაცი პეიზაჟები, ცხენსე ამხედრებულის სიკეთე და ბოროტებაც, სროლა, კაცისკვლა, გზებზე დახედრა და გადღვომა, თასგვარი ხაფანგები და განსაცდელიდან თავის დაღღვოვა, მუხანათობა და ვერაგობა, მაგრამ ზომიერებისა და მაღალი გემოვნების სახეღვრები თითქმის არააღ არ ირღვვება. მთელი ეს აუცილებელი (რაც უნდა იყოს, ფილმის მთავარი გმირი აზრავია!) აქუსუარო მხოლოდ ერთ მიზანს ემასხურება: მაყურებლის წინაშე მთელი სისრულით წარმოაჩინოს ამ მრავალპლანიანი რომანის იდეურ-ფილოსოფიური, ზნეობრივ-შემცნებითი კონცეფცია.

დამღმელი ოპერატორი და დამღმელი მხატვარი გარე-მოს, ბუნებას, ფერწრას მხოლოდ იმისათვის იყენებენ, რათა მაყურებლის ყურადღება გამამხვილონ გმირის სულიერ განწყობილებაზე, ხაზი გაუსვან და გამოავლინონ ცალკეული ეპიზოდების ორგანულობა მის მხატვრულ ჯეოლუციაში. ამავე მიზანს ემორჩილება მუსიკაც. აქ არ არის მუსიკა თავისთავად, დამოუკიდებლად. იგი იმუნდა თანახმიერია შესაბამისი სიტუაციისა და პერსონაჟთა ქმედობისა, რომ ზოგჯერ თითქმის ვერცა გრძნობთ მის დამოუკიდებელ არსებობას. მუსიკა გვეზმარება აღვიქვათ მთავარი გმირის და სხვა პერსონაჟთა სულის მოძრაობა, გონების თვალთ გაგადგნოთ გარემოებათა ცვლის კვალბაზე მათი განწყობილების ცვლას. ფილმში თითქმის ვერ ნახავთ ვერც ფერწერული, ვერც მუსიკალური დეტალების გაიდვალებას, ამ აზრით, ფილმში არც ერთ მის ეპიზოდში არ გვეყენებათ გადატვირთული და საერთოდ სტილისტიკიდან ამოვარდნილი.

რომანში არის ერთი ასეთი ეპიზოდი: ბერუნი პერტასთან პოლიციის მიერ ჩასახლებული თიკო ორბელიანი ეკითხება ბერუნის, დათა თუთაშხია პირველად რომ ნახე, როგორ შემოგბედა, როგორი მთავლები ქჷნდაო.

„ — როგორი და... — მოიქვება დასჭირდა ბერუნი პერტას. — გაკვირვებულნი!..“

ეს როდია ავტორის მიერ უზარლოდ მოქმეული სიტყვა, იგი დიდი სიმბოლიკის სათავეა. მარტო ბერუნისთან პირველი შეხვედრისას კი არა, მთელი სიცოცხლე ასეთი გაკვირვებული თვალბებით უყურებდა დათა თუთაშხია ამ მუხთალ და გაუტანელ წუთისოფელში დატრიალებული ცოდა-ბრალის გარდვალბობას, ამ გაკვირვებული თვალბებით ეღვა იგი ქომავად სიკეთეს და მოყვასთა კეთილდღეობას, ამ გაკვირვებული თვალბებით შეხედა მან ბოროტთა მიერ გონება და გრძნობარეულ გუდუნას, თავის სისხლსა და ხორცს, რომელმაც სასიკვდილო ტყვია გაიმეტა მ-სთვის შეუნცნობელი სიკეთისათვის. და ბოლოს, ამ გაკვირვებული თვალბებით შექურებებს მაყურებელი დათა თუთაშხიას — ხალხის კეთილდღეობისათვის წამებულ რანადს, სამართლიანობისა და სიკეთისათვის მარტოსულ მიბრძოლ-მაძიებელს, შეჭურებს და სჯერა, რომ მან თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და ბოროტზე სიკეთის ძლევა ახეიმა.

ნიკოლოზ- ივანოვი — ქართული მუსიკის პროპაგანდისტი

ნიკოლოზ სოკოლოვი

სამჭმთს ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულ-რუსული მუსიკალური კავშირები, ხოლო უფრო ფართოდ თუ ავიღებთ, საერთო კულტურული ურთიერთობანი, არაჩვეულურივად გაიზარდა და განმტკიცდა. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი პირველვე ნაბიჯებიდან დაიწყო თანმიმდევრული და მიზანდასახული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად ისახავდა ხელოვნების, როგორც მძლავრი იდეოლოგიური იარაღის, ყოველმხრივ განვითარებას. თავიდანვე აშკარა გახდა, რომ — ახალი შინაარსით აღსავსე ხელოვნებამ უნდა მიიღოს ტქმმართველ ეროვნული სახე.

ამ პოლიტიკის გატარება გულისხმობდა ფართო ორგანი-

ზაციული მუშაობის გაშლასაც, რადგან ხელოვნება ამირიდან გადაიქცა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ, საყოველთაო სახალხო საქმედ. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან იქმნება საპედაგოგიკური განყოფილებები, რომლებიც განაგებდნენ ხელოვნების საკითხებს. 1921 წელს საქართველოს სსრ განსაკმობის მუსიკალური განყოფილების გამგედ დანიშნა გამოჩენილი კომპოზიტორი მელიქონ ბალანჩივაძე. საქართველოს სსრ განსაკმობის მუსიკალური განყოფილება და განსაკმობის მ. ბალანჩივაძე მიზნად ისახავდნენ თბილისის კონსერვატორიის რეორგანიზაციას, რათა შექმნილიყო მყარი პროფესიული სასწავლო პროგრამით აღჭურვილი საბჭოთა უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი.

ეს იყო როგორც მუსიკალური კულტურის, ისე მთელი ქართული საბჭოთა ხელოვნების ჩამოყალიბებისათვის მიმდებარე. იგრძნობდა მაღალკვალიფიციური მუსიკოს-პედაგოგთა კადრების ნაკლებობა. ამ დროის თბილისის კონსერვატორიის დირექტორი, დიდი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ფალაშვილი წერილს უგზავნის მ. იპოლიტოვ-ივანოვს, რომელშიც, სხვათა შორის, წერს: „ძვირფასო მიხეილ მიხეილის ძველ! დამერწმუნეთ, რომ აქ თქვენ იხე ფეხორდებით, ვით ცის მანანა, როგორც თვატრისა, იხე განსაკუთრებით კონსერვატორიისათვის. ვერა ერთი, კონსერვატორიაში ჩვენ არ ვეპეტ კონტრაპუნქტის, ფუგის, თავისუფალი კომპოზიციისა და საპედაგოგიკური ინსტრუმენტობის კლასები, მაგრამ, გარდა ყოველივე ამისა, კიდევ ის, რომ მ. ი. ჩერუბინი ოჯახით გაცემკვანა რეპერტულებით პარიზში. არ მინდა ვიყო წინააღმდეგველი, რადგან შესაძლოა ვცდებოდეთ, მაგრამ პირადად მე ორმოცდაათი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ის აღარ დაბრუნდება, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ დირექტორის თანამდებობას განსაკუთრებულად ჯერჯერობით, მის ჩამოსვლამდე, როგორც კონსერვატორიის ინსპექტორი, დირექტორის მოვალეობას მე ვასრულებ. ამგვარად, ძვირფასო მიხეილ მიხეილის ძველ, შეიძლება ღვთის წყალობით მე თქვენთან ერთად ხელიწინააღმდეგებულ მომიხდეს მუშაობა თბილისის—თქვენს მიერ შექმნილსა და თქვენს საყვარელ კონსერვატორიაში“¹.

როგორც ცნობილია, მ. იპოლიტოვ-ივანოვს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია თბილისის კონსერვატორიის გახსნაში, რაც მიიხდა პირველი მუსიკალური სასწავლებლის საფუძველზე 1917 წლის 1 მაისს. მაგრამ, ზ. ფალაშვილის ზემოთ მოყვანილ წერილში შემთხვევითი როლი უწოდებს მ. იპოლიტოვ-ივანოვს კონსერვატორიის ერთ-ერთ დამაარსებელს. მას ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს საქართველოში პროფესიული განათლების დაწესებისა და განვითარების მთელი ისტორია, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული მ. იპოლიტოვ-ივანოვის მოღვაწეობასთან. აქ უაღვიროდ არ იქნება გაიხსენებოთ, რომ მ. იპოლიტოვ-ივანოვი პირველად თბილისში 1882 წელს ჩამოვიდა და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მუსიკოსმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მუსიკალური სკოლის დამფუძნებელთა საერთო კრებაში, რომელიც 18 ნოემბერს შედგა. ამ ისტორიულ კრებაზე იპოლიტოვ-ივანოვმა დამსწრეთ გააცნო რუსული მუსიკალური საზოგადოებისა და მისი განყოფილებების სტრუქტურა და მოღვაწეობის პრინციპები. კრებაში მხარი დაუჭირა რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების გახსნის საკითხს და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი დირექციის წინაშე ამასთან დაკავშირებით შეამდგომოთ თბილისის ადგილის შესახებ. 1882 წლის დეკემბერში შუა რიცხვებში იპოლიტოვ-ივანოვი დაბრუნდა ლეტინბურგში, შეიპირა დახმარებაზე ა. რუბინშტეინი და კ. დავი-ლოვი, რის შემდეგაც დაიწყო მოლაპარაკება რუსული მუსიკალური საზოგადოების დირექტორთან „თბილისის საქმეზე“². ბოლოს და ბოლოს, 1883 წლის 11 თებერვალს კ. აღიანთოვის სახელზე შედგენილი № 21 მიმართვით რუსული მუსიკალური საზოგადოების დირექცია „გამოაბანტავთ თავის სრულ თანხმობას თბილისში საზოგადოების განყოფილების გახსნაზე, საზოგადოების წესდების 37-ე მუხლის საფუძველზე ავალებს კ. მ. აღიანთას, ხ. ი. სავანელს, ა. თ. მიხანდარს, ი. ე. პიტოვსა და ა. ს. ყორაბანოვს თბილისში საზოგადოების გახსნასა და წესდების 47-ე მუხლის საფუძველზე ნიშნავს ზემოთდასახელებულ პირებს მის დირექტორებად“³.

ამრიგად, შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდან იპოლიტოვ-ივანოვმა დიდი ხნით დაუკავშირა თავისი ბედი ქართულ მუსიკასა და მის განვითარებას წინამძღვრებულს. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეობა იპოლიტოვ-ივანოვის თბილისში მოწვევა გადაწყვიტეს. მაგრამ იპოლიტოვ-ივანოვმა ვერ შესძლო ერთბაშად ზ. ფალაშვილის წინადადებაზე გამოსაყრები, რადგან იმ დროს ის ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის რექტორი იყო. 1922 წელს თავს ანებებს ამ თანამდებობას, რადგან სურს „თავისი ცხოვრების დარჩენილი დღეები მიუძღვნას შემოქმედებას“⁴. ამავე დროს მთელი რიგი მუსიკალური ორგანიზაციები იწვევენ მას საპატიო რექტორად. 1922 წელსვე მას იწვევენ ბაქის კონსერვატორიის რექტორის ადგილზე, ამ წინადადების საპასუხოდ იპოლიტოვ-ივანოვი წერს მ. ლ. პრესმანს ბაქოში: „ჩემო ძვირფასო, მიყვარბარათ ისევე როგორც ძველად მიყვარბარათ და კიდევ უფრო მეტადაც, რადგან სიმეურნე ყოველივე ის, რას ახალგაზრდადობიდან მოგყვება, კიდევ უფრო ძლიერ და დრამად გიყვარს, მაგრამ თქვენთან ჩამოსვლა არ შემოიძლია. შესაძლოა, კიდევ ვაგზარბარებოლიყავი თბილისში, რომელთანაც ასე ბევრი მოგონება მაგავსებრებს და სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობს ლოკონო ერთი ჩემი მეგობარი, მაგრამ სიმეურნე ძნელია ცხოვრების დაწყება ახალ ადგილზე და ახალ ადამიანებთან. თბილისისაკენ საოცრად მიმიყვას გული...“⁴

საბჭოთა პერიოდში იპოლიტოვ-ივანოვის შემოქმედებაში ქართული რენესანსის თავისებური ხანა დგება. რევოლუციის შემდეგ შექმნილი მისი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია სიმფონიური პოემა „მწირობა“. ეს იყო იპოლიტოვ-ივანოვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოეტური ნაწარმოები გამწვანებული ფერადოვანი საორკესტრო კოლორიტით (პარტიტურაში მხირად ჩართულია სიმფონიური ორკესტრის სამმაგი შემადგენლობა ჩელესტრული). მასში რომანტიკული გამოხატულება ჰქონდა მწირობის ეროვნულმა სახემ.

იპოლიტოვ-ივანოვი ამავე პერიოდში ქმნის მუსიკალურ



მ. ივოლიტოვ-ივანოვი

სურათს „საღამო საქართველოში“ არფის, ფლეტიკის, ჰობოის, კლარნეტისა და ფაგოტისათვის, აგრეთვე, მთელ რიგ მცირე ფორმის ნაწარმოებებს, რომლებიც შეთავსებულია მიხეთის საყვარელი საქართველოს სახეებით. ფრიად საგულანძობაა, რომ ამ წლებში კომპოზიტორს მიღენდა ძლიერად იტაცებს კავკასია, რომ მუსიკალური სურათების „ოიანის სიმღერებიდან“ შექმნის დროსაც კი, რომლებშიც განსახიერებულა კელტური პალხური ეპოსის ლეგენდარული გმირის სახე, კომპოზიტორის ფიქრები მიმართულია კავკასიისკენ. სამხრეთ „კავკასიის ბუნების წიაღში მე დაინახე მოტლანდიის ბუნების სურათები თავისი სვედანი, მღალქოლიური იერი“⁵ — წერდა მოგვიანებით ივოლიტოვ-ივანოვი.

მოსკოვში ინტენსიური მოღვაწეობის მიუხედავად, ივოლიტოვ-ივანოვი თავს არ ანებებს საქართველოში დაბრუნებაზე ვიწროს. 1924 წელს იგი იღებს დიქუმს მ. ორახელაშვილისაგან: „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი დაბეჯითებით სთხოვს დიდად პატივცემულ მიხეილ მიხეილის ძეს სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დაკავებას“⁶. ივოლიტოვ-ივანოვი ჩამოდის თბილისში და 1924 წლის დეკემბრიდან 1925 წლის აგვისტომდე სათავეში უდგება თბილისის კონსერვატორიას, როგორც მუსიკალური ნაწილის გამგე. იგი ენერგიულად ჰკიდებს ხელს თბილისის კონსერვატორიის რეორგანიზაციის საქმეს, დიდ ძალას ახმარს ახალი სასწავლო გეგმისა და წესდების შემუშავებას, ჰედაგოგურ მუშაობას. ამის შესახებ ლ. ქუთათელაძე წერს: „გერმანიაში მივლინებით ყოფნის დროს მიველ წერილი ჩემი მგობარ-მასწავლებლის მ. ა. ბალანჩივაძისაგან, რომელიც იმ

დროს სათავეში დედა საქართველოს სსრ განსახიერების მუსიკალურ განყოფილებას. ის აღტაცებით მოტყობინებდა, არამხოლოდ საქართველოს სსრ განსახიერების თხოვნით ა. ვ. ლუნარსკიმი ნებადართო მიხეილ მიხეილის ძის მივლინებას თბილისის კონსერვატორიაში 1924-1925 სასწავლო წლის მანძილზე ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ცხოვრებაში გატარების მიზნით. მ. მ. ივოლიტოვ-ივანოვი გამოგზავნილ იქნა თბილისში მთელი რიგი ახალი ამოცანების გადასაჭრელად. რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელი იყო კონსერვატორიის რეორგანიზაციისა და მისი ჭეშმარიტად საბჭოთა, მუსიკალური განათლების ახალ სისტემაში შემავალ, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებად გარდაქმნისათვის. მ. ა. ბალანჩივაძე დიდ იმედებს ამყარებდა ამ მხრივ გამოცდილი მიხეილ მიხეილის ძის დახმარებაზე. 1925 წლის ივლისში, ჩვენი მივლინების დამთავრების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებამდე მ. ა. ბალანჩივაძის დაავლებით უსათუოდ უნდა მივსულიყავი მიხეილ მიხეილის ძისთან, რაც მე, რასაკვირველია, საამოცნებით შევასრულე. ივოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც დაამთავრა სასწავლო წელი, სათავე დაუდო მრავალ დასახულ ღონისძიებას, ის-ის იყო დაბრუნდა საქართველოდან. მან, როგორც ყოველთვის, ძალიან გულთბილად მიმიღო, გადაამხებდა და დამავა თავისსა და ვარგარა მიხაილოვნას (ზარუნდნაია — ნ. ს.) შორის და ურვეული მღელვარებითა და აღზნებულად დაიწყო იმის მოყოლა, თუ როგორ აშენებს საქართველო ახალ ეროვნულ მუსიკალურ კულტურას, როგორ ზრდის ახალგაზრდა მუსიკოსთა კადრებს, ყვეზოდა იმის შესახებ, რომ საქართველოში შესანიშნავი ნიჭიერი ახალგაზრდობაა, მიაზობდა, თუ რა გარტყებით მუშაობს ქართველ მუსიკოსთა უფროსი თაობა“⁷.

ფრიად საგულანძობაა ის გარემოება, რომ სწორედ საბჭოთა საქართველოში ყოფნის დროს იწყებს ივოლიტოვ-ივანოვი ინტენსიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივი და მხატვრული ცხოვრების უზარმაზარი ნაკადიდან იგი თავის თემად ირჩევს ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლობის პრინციპთა საკითხებს. საბჭოთა პრესაში ივოლიტოვ-ივანოვის პირველი გამოცემული დაკავშირებულია ქართულ ჟურნალ „ხელოვნების დროშასა“ და გახუთ „ზარია ვოსტოკასთან“. პირველ წერილში — „ქართული სიმღერა“ — ივოლიტოვ-ივანოვი წერდა: „საქართველოს მომხიბვლელი ბუნება წარმოქმნის მისი სიმღერების კოლორიტს. ამ სიმღერებში, რომლის მსგავსი არ აქვს დედამიწის ზურგზე არც ერთ ხალხს, აღბეჭდილია საქართველოს თვალწარმატებოთაფრთხილების რიტმული ნახაზის სირთულე. სამწუხაროა, რომ აქამდე გაღვნი გულხერ სიმღერის გადაგვარების გზაზე აქვანება... ნაღვლივი ხალხური სიმღერები ან საცემებით მივიწყებულია, ანდა ისეთი დამახინჯებული სახით ეღვრს, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო ჭეშმარიტ ხალხურ სიმღერასთან“⁸. აქვე ივოლიტოვ-ივანოვი აღნიშნავს იმ უღმრეს როლს, რომელიც შეასრულეს წ. ფალიაშვილმა და არაყვიშვილმა ქართული მუსიკალური ფოლკლორის შეგროვების, შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეში და მიუთითებს, რომ „საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა სახელმწიფო კონსერვატორიათთან უნდა შექმნას საპედაგოგიური განყოფილება, რომელიც, როგორც საჭიროა, იმე იზრუნებს ხალხის უდიდეს სიმდიდრეზე — მის ხალხურ სიმღერებზე“⁹. შეუძლებელია გადაჭარბებით შევადარს იმ დიდი მნიშვნელობა, რომელიც იქონია მსოფლიო მუსიკოსის ამ მითითებამ



საქართველოში მუსიკალური ფოლკლორისტიკის, როგორც მცენერების, შედგომის ჩამოყალიბებისათვის.

ქართულ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულია იოლიტოვ-ივანოვის შიორე წერილი ა. ხ. სავანელი — კავკასიაში პირველი მუსიკალური სკოლის დამაარსებელი¹¹⁰. ეს წერილი აღდგინდა ამ გამოჩენილი მოღვაწის, რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების ერთ-ერთი დამაარსებლის, წმინდა სახეს და, ამავე დროს, ენებოდა იმ პერიოდისათვის მეტად მნიშვნელოვან, ქართულ-რუსული მუსიკალური კავშირების განვითარების საკითხსაც, თუ რიგვე წერილი გამოირჩევა აქტუალობით. მათში იოლიტოვ-ივანოვი პოუთხმება ქართული საკომპოზიტორო სკოლის დიდ და დემოკრატიულ ტრადიციებზე, იბრძოდა ქართული მუსიკისა და მუსიკალური განათლების შედგომის განვითარებისათვის. ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ამ პუბლიცისტურ წერილებში მკაფიოდ გამოვლინდა იოლიტოვ-ივანოვისათვის დახასიათებელი სტილი. მისი სიტყვა, უპირატესად ყოფილია, მიმართული იყო მსაზრისი აუდიტორიისადმი, ჩანდა, რომ ავტორი ღრმად იცნობს ანაბეზდროეობის მხატვრულ პრაქტიკასა და მის ამოცანებს, იგი ხუხტად და სწრაფად რეაგირებს მიმდინარე მოვლენებზე, ეწევა ახალი მრავალეროვანი სოციალისტური საბჭოთა კულტურის იდეების ქმედით ატიკაცისა და ეფექტურ პროპაგანდას.

ქართული მუსიკის პროპაგანდას მოწმობს 1924 წელს ა. ვ. ლუნარსკისადმი მიწერილი იოლიტოვ-ივანოვის წერილი, რომელშიც არჩევეს ხ. ფალიშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერი“: „დიდად პატივცემული ანატოლი ვასილის ძეგ, — წერდა იოლიტოვ-ივანოვი, — ამ დღეებში დაქუერ ოპერაში ფალიშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერი“ მოსმენის შემდეგ, მომინდა თქვენთვის რამდენიმე სიტყვის მოწერა ამ ნაწარმოების შესახებ, რომელიც, ჩემი აზრით, ხელსაყრელი ყველა მოყვარულის ყურადღებას იპყრობს სახალხო ოპერისადმი სწორი მიდგომის გამო. საქმე ისაა, რომ აქამდე სახალხო ოპერათა სიუჟეტები მუშავდებოდა მიუხედავად პირთა ხასიათების რთული ფსიქოლოგიური ანალიზის გზით, რაც ხელს უშლიდა ფართო მსმენელს ნაწარმოების აღქმამში. მას აბნევდა ის მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები, თავს რომ ატყდებოდა როგორც სიუჟეტის, ისე მუსიკის განვითარების მხრიდან. ხელოვნების თეატრსაზრისით რარც მშვენიერი და სრულყოფილიც არ უნდა ყოფილიყო ასეთი ნაწარმოები, რიგით მსმენელს ვერ ანიჭებდა იმ სიამოვნების მესაედ ნაწილსაც კი, რასაც იგი თეატრისაგან მიიღობდა. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ სახალხო ოპერისადმი ფალიშვილისეული მიდგომა საყვებით სწორია. ოპერის სიუჟეტი აღებულია ქართული ეპოსიდან, რაც კომპოზიტორს საშუალებას აძლევს ფართოდ გამოიყენოს მელიდები ხალხური მუსიკის დაურეგულირებელი საუნდიდან. მუსიკაში ყველაფერი კადმოცემულია საღად და ნათლად, მესერამ, ამავე დროს, ყველაზე იგრძნობა ოსტატის ხელი, რომელიც იცნობს თავის სახლსა და მის ფსიქიკას. თავის ოპერას მან ოპერა-ლეგენდა უწოდა. სწორედ ამ გზით უნდა იარო, რომ შეიტკა ხალხთა მსგეში. ამაზე ვფიქრობდი, როცა ვისმენდი „აბესალომ და ეთერს“. მოგმართავთ თქვენ, როგორც ხელოვნების დიდ ტრფივალს, თხოვნით, აჩვენეთ ოპერა დედაქალაქის საზოგადოებას და მუიკოსებს. ვეროული ყურისათვის აქ ბევრი რამ უცხურად და

არაჩვეულებრივად, ორიგინალურად, კოლორიტულად ქორის თბილისში მას უდიდესი წარმატება ხვდა, სამი წლის მანძილზე ის დაახლოებით 150-ჯერ შესრულდა საყვ დარბაზში. მისივე მიხედვით დადგმა არ იმოქმედებს აკადემიური დიდი თეატრის ბიუჯეტზე, რადგან კოსტუმები და დეკორაციები არის („დემონის“ და „დალატის“), აქედან გამომდინარე, ხარჯს გამოიწვევს მხოლოდ სანოტო მასალის გადაწერა, ეს კი არც იმე ჭირი დაჯდება. მისი დადგმა პოლიტკური ნაწარმობისაგან სასურველი, როგორც ეროვნული შემოქმედების ნაწარმობის შტანსა სახელმწიფო თეატრების რეპერტუარში. გთხოვთ, მომტკვეთ ჩემი წერილისათვის, ღრმად პატივცემული ანატოლი ვასილის ძეგ, და ნუ გაკიცხავთ თქვენ გულწრფელ პატივისცემულ მოხუც მუსიკოსს იოლიტოვ-ივანოვს¹¹¹.

დღეს, როდესაც ქართული მუსიკალური ხელოვნების აყვავების მოწმენი ვართ, როცა მისი მიღწევები მსოფლიო სარბილზე გავიდა, ჩვენ მადლიერების გრძობით ვისხენებთ უფროსი თაობის ქართველ და რუს მუსიკოსებს, რომელთაც მთელი თავისი ძალა, მრავალმხრივი ნიჭი მოახმარეს ორი ეროვნული მუსიკალური კულტურის ურთიერთგაყვანიასა და განვითარების საქმეს.

შინაშეხანი:

- 1 ზ. ფალიშვილი, წერილი მ. მ. იოლიტოვ-ივანოვისადმი, დათარიღებული 1921 წლის 18 ივლისით, F.II.M.K. K. 4-2 № 981, 2 „რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილებისა და მუსიკალური საწავლებლის 1890—1891 წლების ანგარიშის დანართი“, თბილისი, 1891, გვ. 19.
- 3 მ. მ. იოლიტოვ-ივანოვი, წერილი ა. ბ. გოლდენვეიზრისადმი, დათარიღებული 1922 წლის 3 სექტემბრით, F.II.M.M.K. 4-ABT № 162.
- 4 მ. მ. იოლიტოვ-ივანოვი, წერილი ი. ლ. პრესმანისადმი დათარიღებული 1922 წ. 5 სექტემბრით, F.II.M.M.K. 4-11 № 26.
- 5 მ. მ. იოლიტოვ-ივანოვი „რუსული მუსიკის ორმოცდაათი წელი ჩემს მოგონებებში“, მ., 1934, გვ. 150.
- 6 მ. ორბელიანი, დეკამე იოლიტოვ-ივანოვისადმი, F.II.M.M.K. —2 № 951.
- 7 ლ. ქუთათელიძე — გულის სივანე, ხელნაწერი, F.II.M.M.K. 4-2 № 9501, გვ. 3-4.
- 8 მ. მ. იოლიტოვ-ივანოვი, „ქართული სიმღერა“, „ხელოვნების დროშა“, 1924, № 1, გვ. 7-8.
- 9 მ. მ. იოლიტოვ-ივანოვი, „ქართული სიმღერა“, „ხელოვნების დროშა“, 1924, № 1, გვ. 8.
- 10 მ. მ. იოლიტოვ-ივანოვი, ა. ხ. სავანელი — კავკასიაში პირველი მუსიკალური სკოლის დამაარსებელი, „ზარია ვოსტოკა“, 1925, 21 თებერვალი, № 910, გვ. 2.
- 11 მ. მ. იოლიტოვ-ივანოვი — წერილი ა. ვ. ლუნარსკისადმი, დათარიღებული 1924 წლის 19 ოქტომბრით. ინახება საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის მუზეუმში, ფ.—1, საქმე 897, ცგ TP № 6.



XI-XIII საუკუნეების დასავლეთი ევროპა

მემა, უფა, ჩამუშავა

ალა იასტრებიცაია

ეს წიგნი ევროპული შუა საუკუნეების კლასიკურ პერიოდზე მოგვითხრობს. თავისთავად ტერმინი „შუა საუკუნეები“, ცოცხალი არ იყო ადვილად აღიქმად; ისე გამოდის, ვითომ ევროპის ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ ორი „ნათელი“ ხანა — ანტიკურბა და ახალი დრო. მათ შორის ეს „არანამდვილი“ დროის ბნელი უფსკრული — შუა საუკუნეები — ძვეს, ძველთაგანვე დამკვიდრებული წარმოდგენით, შუა საუკუნეებში ცხოვრება თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა; სწორედ ამიტომ იქცა ტერმინი „შუა საუკუნეები“ სიბნელისა და რეაქციულობის სინონიმად. მაგრამ, რამდენად მართებულა ამგვარი შეხედულება?

თანამედროვე მეცნიერება შუა საუკუნეებში დიდ ისტორიულ ეპოქას გულისხმობს. ეს ეპოქა არც ერთბაშად შექმნილა და არც ერთბაშად დამთავრებულა. ამდენად, აღარც ისაა გასაკვირი, თუ მისი ქრონოლოგიური საზღვრები ბუნდოვნად და გაურკვეველად გვიხატება. ჩვეულებრივ, შუა საუკუნეების სათავედ შეტად პირობითი თარიღს — 476 წელს — ასახელებენ, რაც, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემას ემთხვევა. ეს მოვლენა, რომელსაც შედეგად დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორის რომულუს-ავგუსტულუსის აღმოხდა და მისი სამიწერატორო ინსიგნიები აღმოსავლეთის იმპერიის დედაქალაქში, კონსტანტინეპოლში გადაადგილება მოჰყვა, თანამედროვეებს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად არ ჩაუთვლიათ და სახსენით მართებულადაც. შეიძლება, უფრო სწორია უფილიყო, თუ საზღვარს ანტიკურობასა და შუა საუკუნეებს შორის სადაც, შევსებთ საუკუნის ბოლოსა და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში გავავლეთ. იტალიაში ლანგობარდების შეჭრისა და რომის კალაქური ცხოვრების უკანასკნელი ეტრების საბოლოო დაცემის შემდეგ, შუა საუკუნეების დასაწყისად ეს შეჩადებთ საუკუნის ინგლისის ბურჟუაზულ რევოლუციას მოიხვევენ. მაგრამ, უფრო ეს უკანასკნელა ასწულეთ, წინ რომ უძლიდნენ ამ რევოლუციას, აღორძინებისა და უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ბედით აღნიშნულნი.

სრულიად განსხვავებული, არა შუასაუკუნეობრივი ნიშანთვისებების მატარებელი იყვნენ.

შუა საუკუნეებში წარმოების ფეოდალური წესი ბატონობდა. ანტიკური ქალაქი დაცვა და, ამიტომ, შუა საუკუნეების ცხოვრების სათავეს სოფელი წარმოადგენდა. ადრეულ შუა საუკუნეებში ვანუთხოვად ბოჰემიკობს აგრარული სტიქია და მხოლოდ აქა-იქ თულა არსებობენ ნახევრად დანგრეული, დატყი დასახლებანი, ოღონად რომ ჩამოგვანან საქალაქო ცენტრებს. ამ დროისათვის არსებობის ძირითადი ფორმებია: მამული, სადაც მებატონე მასზე დამოკიდებული ხალხის შრომით იკმაყოფილებს მატერიალურ მოთხოვნილებათა უდიდეს ნაწილს; მონასტერი, რომელსაც ჩვეულებრივ მამულისაგან მარტოდნენ ის თუ განსხვავებებს, მისი მფლობელ „კულტურული სენიორი“ რომა და მის ქედლებში ხანგამოშვებით, წიგნიერი ადამიანები ცხოვრობენ, რომელთაც წიგნის გადასაწერად სკიპრო დროცა აქვთ და უნარიც; და ბოლოს, სამეფო კარი — ერთადგილიდან მეორეზე რომ გადადის და თავის ცხოვრებასა თუ მართვა-გამგეობას ჩვეულებრივი მამულის მსგავსად წარმართავს — ასეთია შუა საუკუნეების საზოგადოების არსებობის ძირითადი საზოგადოებრივი ფორმები. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებშიდან ამ აგრარულ სამუშაოში ახალი ელემენტი — ქალაქი — შემოიჭრება. პირველ ხანებში ქალაქი ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად სოფლის, მამულის ემორჩილება, ხოლო იდეოლოგიურად — მონასტერს. ადრეული შუა საუკუნეების დროინდელი ქალაქის სამეურნეო და სოციალური ცხოვრება ფეოდალური პრინციპებითაა გამსჭვალული, ქალაქის მმართველთა წრეც ცდლობს სენიორის ცხოვრების ყოველ მიზანს. და მაინც, ნელ-ნელა, თანდათანობით, ქალაქი არეყვს შუა საუკუნეების საფუძველს; თვითონაც იცვლება და თავის „მტრებსაც“ — ფეოდალურ სენიორებსაც უფლებს იერს. ვლუბებსა და ფეოდალებს, ქალაქებსა და სენიორებს, ფეოდალურ არისტოკრატიაში არსებულ სხვადასხვა დაჭყფებებს, ცენტრალიზაციის თუ სეპარატობის მომხრეთა შორის გამართულ სისტემ ბრძოლებს შუა საუკუნეების აღსასრულს მოსდევდა.

ეს ეპოქა თავისი განსაკუთრებული სოციალური რთიერიობებითა და განსაკუთრებული კულტურით ხასიათდებოდა. მან უდიდ-

* А. Ястребичкая, «Западная Европа XI—XIII вв.» (Эпоха, быт, костюм). М., «Искусство», 1978.

სამხარო, რომელშიც ცხოვრობდნენ

სი პოლიტიკური თუ კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა: სწორედ შუა საუკუნეებში გაფართოვდა ევროპის საზღვრები და საფუძვლი ჩაეყარა გეოგრაფიულ აღმოჩენებს; შექმნა წოდებრივი ღირსებისა თუ ქალსადაში რანდული სახსურის ცნებები; განდღი დაწესებულებანი.

სამშულო მედიოვითის წარმატებთა წყალობით, ჩვენ უკვე კარგად ვიცავს წარმოდგენილი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სოციალური და სამეურნეო ისტორია. ვიცი, თუ როგორ იყო ორგანიზებული მეურნეობა ფეოდალურ მამულში; ვიცი ქალაქის ხელნაწერი ვაჭრობის შენახება; ჩვენთვის ვლებობის ექსპლუატაციისა თუ მისი კლასობრივი ბრძოლის ფორმებიც ცნობილია. მრავალრიცხოვანი სტეციალური გამოკვლევები ადავდენენ უდადესი საზოგადოებრივი და სოციალური ძვრების სურათს, შუა საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის მოვლენებს.

ამვე დროს, ჩვენმა მეთოდებმა ძალიან ცოტა რა იცის იმ ეპოქის ადამიანთა ყოფის, მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ არადა, „ბნელი შუა საუკუნეების არასაღებ გამოკვრებებს უნდა ვუმაღლოდეთ, ვიდრე „ნათელ ანტიკურობას. სწორედ შუა საუკუნეების კლასიკურ პერიოდში განდა სათავე თუ დღლი, თანადავრეო ჩაქმნების ძირითადი ელემენტები (მარჯალ, ქვედაკაბა); სწორედ მშინ შემუღეს საკლდე იალწინაი ეპიკო ქაის წინადავდე ცურვა, დაადგეს ხარკ ევალდლო (რამე უბოლიანა შეცალა აკამულობის სისტემა); ბავშო შედენეს საქონელი, მინდორში შეზიდეს სასუბი. იმ ეპოქის ისწავლა ადამიანთა ფეხბურთის თამაში თუ სპირტის გამოხდა.

ამ წიგნში სწორედ შუა საუკუნეების დრინდელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მის ვარემომცველ სინამდვილზე ვილანაარაკებთ: სოფლის თუ ქალაქური ყალის სახლება, ავჯზე, სამკალულზე, საკვებზე, საოსნზე; მოგითხრობთ თუ რა საშუალებებით იქმნებოდა ყოველივე ეს, როგორ მზადდებოდა, როგორ ვაგაქმენდათ ერთი ავგალიდან მეორეზე; ვიამბობთ სახმელეთო თუ საზღვაო ტრანსპორტზე; სოფლის მეურნეობისა თუ ხელნაწერი ტექნიკის შესახებ; ვილანაარაკებთ სინატირისა და ჰიგენიზე; ავამდროფობებსა თუ ეპიდემიებზე; ადამიანის სხეულის აგებულების მამინდელ წარმოდგენებსა და სამედიცინო დაზმარების სახეობებზე.

ვარემომცველი საზოგადოებრივი ცხოვრება ვარკვეულ დაღს ასვამდა საყოფაცხოვრებო საკვებს და მათ სტეციფიკასაც განაპრობებდა. საზოგადოებისა და მისი ყოფა-ცხოვრების ურთიერთდაშუალდებულბა გამოხატულებას პოლულებდა ვგუთნა, მოქალაქეთა, ფეოდალთა თუ სასულიერო პირთა ცხოვრების განსაკუთრებულ წესში. წიგნში სწორედ სოციალური კუთხითა დანახული შუა საუკუნეების ქალაქის, ფეოდალური ციხე-კოშკის, ფეოდალური სოფლისა თუ იმდროინდელი მონასტრის სახე.

საყოფაცხოვრებო საკვები — საცხოვრებელი სახლით დაწესებულბა და ნაოსნით დამთავრებული — არა ვარკო სოციალურ კოფენილებას გამოხატავდენ, არამედ, ეპოქის იდეოლოგიურბა და სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მატარებლენც იყვნენ. ყოველდღიური არსებობის დეტალებში, ხანდაზან, ის ამაღლებული იდებთ თუ სახეები არრედლებოდნენ ხოლმე, დროისა და სივრცის, კოსმოგონიისა და ისტორიული დწის, სახვითი ხელოვნებისა და პოეზიის სფეროს რომ ვანერუენებთან, აი, რაბომ არ იქნება არც უცნაური და არც უსაბოთო, თუ ჩვენს თბრობას დავიწერებთ ვანერუნებულ იდებებს, დროისა და სივრცის სინაღლიდან და შემწევა, თანდათანობით, დავეშვებით ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ფენომენებამდე.

საგნობრივი სამუაროს ანალიზი დავებმარტება უფრო ღრმად ვაკოთოთ ევროპული შუა საუკუნეების კულტურა და სახვითი ხელოვნება.

ადამიანთა საზოგადოება ვანუწავებელი მოძრაობს, — იცვლება და ვითარდება; მსოფლიო ისტორიის ყოველ ეპოქაზე ისტორიულად ვანარბებელი, სამუაროს თავისებოლი სურათი ვაწინაა, საანტერესოა, როგორ ხდებდა და აღიქვამდა სამუაროს შუა საუკუნეების ადამიანი. ერთ-ერთი არსებითი თვისება, ყველაზე უფრო სრულად რომ გამოხატავს ეპოქის მსოფლშეგრვნებს, დროისადი დამოკიდებულბაა. ერთი შეხვედით, თითქმის რა უნდა იყოს ამ ცნებაზე მარტივი და უცვლელი; დღევანდელი ვაგებობი, დრო უსაბურლოა, მისი უნან დაბრუნება შეუძლებელია, აბსტრაქციაა, აბიორული ცნებაა, რომლის მიღმა, მონეტკტური სინამდვილე იმდებდა. დრო თავისთავად არსებობს ბუნებაში: ის არც ადამიანს ექიმდებარება და არც მის საქმიანობას. ჩვენთვის წარსული, აწმუ და მომავალი, ერთმანეთისკან შევტარება ვაწინაა. უკვე სირთულეს აღარ წარმოადგენს დროის აღრიცხვა ზუსტი ტექნიკური ხელსაწყოებით. და ბოლოს, თანამედროვე საზოგადოებრივ აზროვნებისათვის ადარკ დროის სწრფეწარმავებლობა საიღვლიო სწორედ აზიგობა დრო ასე ძვირფასი დღევანდელი ადამიანისთვის. თუმცა, ამგვარი წარმოდგენა დროზე მხოლოდ ტექნიკურად მადღავანეციაარებელი საზოგადოებისათვისა დამახასიათებელი და ესტე შევტარება განსაზვებავს, მისი ისტორიული ეპოქისათვისაც, ექრობდ, ე. წ. აგარული საზოგადოებების ეპოქებისკან, რომელი თუკ არა მარტო შუა საუკუნეები ვანუწავებებოდა, არამედ პირველყოფილი საძირკისა და ანტიკურბა.

თანამედროვე ადამიანისათვის, ვანუწავებელი სათაზე რომ იყურებთ, მწელი წარმოსადგენია ის მითრული წარსული, როცა საათი (წის, წულის, სილისა თუ მექანიკური) იშვიათობა იყო და როცა დღე-ღამის მონაცვლილებას ადამიანს გორბოდა თუ ბუბუბული ვარკვებოდა თუ შიის ნიათი, ნამო თუ ვაკვლი აკუბობინებდა. დროის ამგვარი „აღრიცხვა“, რალა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ზუსტი ყოფილიყო.

